ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 3 აპრილი, 2019 | №78 (8032) | ფასი: 60 თეთრი

„კალაძემ 60.000 ბავშვის ჯანმრთელობას შეუქმნა საფრთხე“

გვ.2

ლევან ხაბეიშვილი: „საბავშვო ბაღებში სახიფათო პროდუქცია შედიოდა“

2 აპრილიდან

ჰანს ქრისტიან ანდერსენი

რჩეული ზღაპრები

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ივანიშვილი კვირიკაშვილს შეურიგდა

გვ.3

„რატომ ეშინიათ სააკაშვილის დაბრუნების, არ მესმის“

პაატა დავითაია: „ნატომ პირდაპირ გვითხრა, რომ საქართველოში ხელისუფლება უნდა შეიცვალოს“

გვ.3

გვ.6

რატომ დაიხია უკან სააკაშვილმა გამსახურდიას მკვლელობის გამოძიების დროს

ტარიელ ფუტკარაძე: „მას საკუთარი გარემოცვა დაუპირისპირდა“

„კომიკური იყო, ერთ დღეში „ოცნება“ ზვიადისტებად რომ გადაიქცა“

გვ.4

თორნიკე შარაშენიძე: „რაღაც ზღვარზე რომ მივა ამდენი სულელური შეზღუდვა, ერთ მშვენიერ დღეს იფეთქებს“

გვ.5

სოსო ცინცაძე: „ქართულ ოცნებას“ კატასტროფული საკადრო კრიზისი აქვს“

მირიან მირიანაშვილი: „რუსეთის ახალი ფავორიტი სანდრა რულოვსია“

გვ.4

სუსმა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის უფროსი სპეციალისტი დააკავა

გვ.5

სამართალი გვ.7

„ანას იმ მომენტში გონება დაკარგული ჰქონდა... დავითმა დაუმტვრია ტელეფონი“





„მილანის სასტუმროში იზა კი არა, 27 წლის ანი იპოვეს გარდაცვლილი. იზას გვარი ნახსენები არ არის“

ეკონომიკა გვ.6

ევროპის ქვეყნები, სადაც ხილსა და ბოსტნეულს ყველაზე დიდი რაოდენობით მოიხმარენ

კახა კალაძე: „ჭავჭავაძის №5-ში სამშენებლო სამუშაოები ყველანაირი თვალსაზრისით გამართული იყო“

კვების ობიექტები თბილისის ცენტრში, სადაც კრიტიკული შეუსაბამობა დაფიქსირდა

ISSN 1987-9385

2 გია ნოდია: „მეორე ტურში ზელენსკის სააკაშვილის მხარდაჭერა სჭირდება“

5 „დირსის“ გენდირექტორი: „შეჭრილები ბინების შიდა ხის კარებს ამტვრევენ და წვავენ“

2 სურსათში, სუნელებში, საყოფაცხოვრებო ნივთებში, სათამაშოებსა და თავად ბავშვების სისხლში ტყვიის მაღალი შემცველობა გამოვლინდა

5 ბაზარს კიდევ ერთი საფინანსო კომპანია ტოვებს

გია ნოდია: „მეორე ტურში ზელენსკის სააკაშვილის მხარდაჭერა სჭირდება“

„თუ ზელენსკი სააკაშვილს რაიმე პოსტზე დანიშნავს, ეს ხელისუფლებასთან ურთიერთობაში ხელის შემშლელი იქნება“

იაგო ნაცვლიშვილი



უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების თანახმად, მეორე ტური გაიმართება. არჩევნების პირველ ტურში ოპოზიციური კანდიდატი ვლადიმირ ზელენსკი ლიდერობს, ხოლო მეორე ადგილზე მოქმედი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკოა. კიდევ ერთი ოპოზიციური კანდიდატი იულია ტიმოშენკო მეორე ტურში ვერ გადავიდა. გამარჯვების უკეთესი შანსი ზელენსკის აქვს, რომელმაც ღიად გამოთქვა საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან თანამშრომლობის სურვილი.

რას ნიშნავს უკრაინაში ჩატარებული არჩევნები და რა გავლენა ექნება ზელენსკის გამარჯვებას საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობებზე? – ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ პოლიტოლოგ **გია ნოდიას** ესაუბრა:

– თქვენი შეფასებით, რას ნიშნავს ის, რომ უკრაინაში პრეზიდენტის გამოსავლენად არჩევნების მეორე ტური ჩატარდება და მოქმედი პრეზიდენტი პოროშენკო პირველ ადგილზე არ არის და მეორე ადგილზე მყოფი კანდიდატი ლიდერობს?

– ეს მოსალოდნელი იყო, რომ ვერავინ გაიმარჯვებდა პირველ ტურში და პოროშენკო ვერ მოიგებდა. გარკვეულწილად, შეიძლება წარმატებად ჩავთვალოთ ის, რომ მეორე ტურში გავიდა. არ იყო ცხადი, რომ მეორე ტურში გავიდოდა. ზელენსკი იყო ლიდერი, მაგრამ შეიძლებოდა, მეორე ადგილზე იულია ტიმოშენკოც გასულიყო.

ის, რომ ის (პოროშენკო) ვერ გავიდა პირველ ადგილზე და ვერ მოიგო პირველივე ტურში, ორ რამეს ნიშნავს. პირველი იმას, რომ ხალხი ხელისუფლებით უკმაყოფილოა უკრაინაში და მეორე, ის რომ უკრაინაში დემოკრატიის საფუძვლები არის. შესაძლოა, სრულყოფილი დემოკრატია არ არის. მაგრამ დემოკრატიის არსებობა გამოიხატება იმით, რომ შეიძლება ხელისუფლებამ არჩევნები წააგოს.

– ხალხი უკმაყოფილო კონკრეტული გარემოებებისა თუ საქმეების გამოა თუ ზოგადად პრეზიდენტის პოლიტიკის გამო?

– ჩემი აზრით, ძირითადად შედეგიანობის გამო. ზოგადად მისი მიმართულება, რომ ის პროდასავლურია, არა მგონია, რომ უკმაყოფილებას ეს იწვევდეს. უბრალოდ, უკრაინაში ვერ მოხდა გარღვევა კორუფციასთან ბრძოლაში, ვერ მოხდა გარღვევა კანონების დაცვაში, ეკონომიკური პროგრესის თვალსაზრისით. ყველა ამ ფაქტორმა გავლენა იქონია და ხალხი უკმაყოფილია.

– რაც შეეხება იმ განცხადებას, რაც ზელენსკიმ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით გააკეთა, როდესაც მან ღიად გამოთქვა თანამშრომლობა, ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ ზელენსკი ამბობს, რომ პოროშენკო უსამართლოდ მოექცა საქართველოს მესამე პრეზიდენტს?

– ამას ნამდვილად ნიშნავს. პირდაპირ თქვა, რომ არასწორი იყო მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა. რაც შეეხება მოტივს, რომ თანამშრომლობა უნდა, მას არ დაუზუსტებია, რას ნიშნავს თანამშრომლობა. ამ ეტაპზე გასაგებია, რომ წინ არის მეორე ტური. სააკაშვილს შეიძლება ბევრი არა, მაგრამ მხარდამჭერები მაინც ჰყავს და მას სჭირდება სხვადასხვა ადამიანების, მათ შორის სააკაშვილის მხარდაჭერა. სააკაშვილს შეუძლია გავლენის მოხდენა ადამიანთა რაოდენობაზე. მას ბუნებრივი პოლიტიკური ინტერესი აქვს, რომ ნებისმიერ ოპოზიციურ ძალასთან ითანამშრომლოს, ყოველ შემთხვევაში, მეორე ტურამდე მაინც, მაგრამ, კონკრეტულად ნიშნავს თუ არა თანამშრომლობა იმას, რომ მან შეიძლება შესთავაზოს სააკაშვილს რაიმე როლი ხელისუფლებაში, ეს არ უთქვამს. არ ვარ დარწმუნებული, რომ ასე იქნება.

– ანუ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზელენსკის მხრიდან ეს საარჩევნო ხრიკი თუ ტაქტიკაა?

– ხრიკს მე არ ვიტყოდი, მაგრამ წინასაარჩევნო ქცევა. კი ბატონო, არის. ის თუ პრეზიდენტი გახდა, უკან არ დაიხევს და სააკაშვილს მოქალაქეობას დაუბრუნებს. ამას ალბათ გააკეთებს, მაგრამ, თავისთავად ის, რომ მას მკაფიოდ არ განუსაზღვრავს, რა იგულისხმება მომავალში თანამშრომლობაში, ჩანს, რომ ჯერჯერობით კონკრეტული დაპირებები, გარდა მოქალაქეობის დაბრუნებისა, არ უნდა ვიგულისხმოთ მის ნათქვამში.

– სააკაშვილის რაიმე თანამდებობაზე დანიშვნაზე საუბარი ამ ეტაპზე ნაადრევია?

– ამაზე საუბარი ნამდვილად შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ზელენსკის ეს არ უნდა. ზელენსკი საერთოდ გაურკვეველი ფიგურაა. არ გამოვრიცხავ, რომ რაღაც თანამდებობაზე დანიშნოს სააკაშვილი, მაგრამ, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამის სურვილი საერთოდ არ ჰქონდეს.

– რაც შეეხება იმას, თუ ზელენსკი გახდება პრეზიდენტი, რა ურთიერთობა ექნება მას საქართველოს ხელისუფლებასთან, მით უფრო, თუ არჩევნების შემდეგაც ითანამშრომლებს სააკაშვილთან? გვახსოვს, პოროშენკო როცა გახდა პრეზიდენტი, არცთუ ისეთი დიპლომატიური ურთიერთობები იყო საქართველო-უკრაინას შორის.

– მიუხედავად იმისა, რომ პოროშენკო და სააკაშვილი გადაემტერნენ ერთმანეთს და სააკაშვილის მიმართ თითქოს საერთო ინტერესი შეექმნათ საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებებს, როდესაც კონფლიქტი მოხდა პოროშენკოსა და სააკაშვილს შორის, უკრაინასთან ინტენსიური ურთიერთობები მაინც არ გვაქვს.

ცოტა გაინტენსიურდა, მაგრამ დიდად არ განვითარებულა. ასე რომ, ამ დონის ურთიერთობის შენარჩუნება შესაძლებელია. ცხადია, ზელენსკი სააკაშვილს რაიმე სერიოზულ თანამდებობაზე დანიშნავს, ეს შემაფერხებელი ფაქტორი იქნება ქართულ-უკრაინული ურთიერთობისთვის. თუმცა, მაინც არ არის ინტენსიური და მკვეთრი გაუარესება არ იქნება. მაგრამ, შეიძლება, ზელენსკიმ ესეც გაითვალისწინოს და ერთ-ერთი ფაქტორი იყოს, რომ არ დანიშნოს სააკაშვილი თანამდებობაზე, რათა ამან ხელი არ შეუშალოს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან ურთიერთობას.

– თქვენი შეფასებით, რატომ არ არის ინტენსიური ურთიერთობები, მაშინ როცა თითქოს ბევრი საერთო გვაქვს უკრაინასთან, იქნება ეს ევროატლანტიკური გზა თუ რუსეთთან არსებული გამოწვევები?

– ჩემი აზრით, ამას ორი მიზეზი აქვს. ერთი ის, რომ ჩვენი ხელისუფლება ზოგადად პასიურია ყველა ფრონტზე და მკაფიო პოლიტიკა არ გააჩნია, ერთგვარად ინერციულად მოქმედებს, არც ერთი მიმართულებით არ არის აქტიური. შედარებით ცდილობს, რომ იაქტიუროს ნატოს და ევროკავშირის ფლანგზე. ამაზე უფრო დიდი მოთხოვნაა საზოგადოების მხრიდან და ამიტომ, ზოგადად, ჩვენი პოლიტიკა პასიურია.

მეორე ის არის, რომ ეს, როგორც ჩანს, შედის რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკაში. გასაგებია, რომ უკრაინას რუსეთთან ძალიან ცუდი ურთიერთობა აქვს. ჩვენ არ გვინდა, რომ ხაზი გავუსვათ უკრაინასთან მეგობრობასა და მის მიმართ სოლიდარობას. შესაძლოა, ეს ფაქტორიც იყოს.

– უკვე გამოითქვა ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან, რომ ზელენსკიც ოლიგარქია. ამაზე რას იტყვით?

– ზელენსკი თვითონ ოლიგარქი არ არის. საიდუმლო არ არის, ის მუშაობდა კოლომოისკის ტელევიზიაში და ვარსკვლავი მისი მხარდაჭერით გახდა, ამიტომ, შესაძლოა, მის უკან ის იდგეს, მაგრამ, არავინ იცის, თუ პრეზიდენტი გახდა, როგორ მოიქცევა, რამდენად დარჩება კოლომოისკის კაცად და გაჰყვება მის რჩევებს თუ შეეცდება, დამოუკიდებელ ფიგურად იქცეს. ამას დავინახავთ. რა თქმა უნდა. უკრაინული პოლიტიკა, ზოგადად, ოლიგარქიულია, მაგრამ ოლიგარქიული პლურალიზმი ახასიათებს და ალბათ კოლომოისკის მხარდაჭერის გარეშე ის ვერ მიაღწევდა ასეთ წარმატებას, როგორითაც აქამდე მოვიდა.

„კალაძემ 60.000 ბავშვის ჯანმრთელობას შეუქმნა საფრთხე“

ლევან ხაბეიშვილი: „საბავშვო ბაღებში სახიფათო პროდუქცია შედიოდა“

შორენა მარსაგიშვილი

დაახლოებით 3 თვის წინ ოპოზიციამ ხმაური ატეხა, რომ საბავშვო ბაღებში ბავშვებისთვის სახიფათო პროდუქცია შედიოდა. დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატმა ლევან ხაბეიშვილმა მაშინ შპს „ნილის“ პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა. საბავშვო ბაღებში პროდუქტები სწორედ ამ კომპანიას შეაქვს.

დედაქალაქის მერია მაშინ შპს „ნილს“ მკერდით გადაეფარა. კახა კალაძის უწყებამ 3 თვის წინ ოპოზიცია სიცრუეში დაადანაშაულა. ამ ამბიდან 3 თვის თავზე მერიამ აღიარა, რომ „ნილს“ საბავშვო ბაღებში ბავშვებისთვის საშიში პროდუქტები შეჰქონდა.

გუშინ, 2 აპრილს, ცნობილი გახდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის შედეგები. გამოვლინდა, რომ საბავშვო ბაღებში შეტანილ არაჟანში ცხოველური ცხიმების ნაცვლად მცენარეული ცხიმია, ხოლო ყველში – რძის ფხვნილი.

ბაღების მართვის სააგენტომ სესის დასკვნის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბაღებს რძის პროდუქტების მიწოდება ბავშვების უსაფრთხოებიდან გამომდინარე შეუწყდეს.

ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, 60.000 ბავშვი რძის პროდუქტების გარეშე დარჩა.

დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატი, ლევან ხაბეიშვილი მიიჩნევს, რომ ამ ყველაფერზე პასუხი კახა კალაძემ უნდა აგოს.

საგანგებო ბრიფინგზე მან მერიის მიერ მომზადებული დოკუმენტი წარმოადგინა, სადაც თითქმის იგივე ეწერა, რაზეც ოპოზიცია 3 თვის წინ საუბრობდა. მაშინ კალაძე და კომპანია კატეგორიულად უარყოფდნენ, რომ ბაღებში უვარგისი პროდუქტები შედიოდა.

– კითხვა არის დედაქალაქის მერთან, როცა სოციალურად დაუცველები და გაჭირვებული ადამიანები იმიტომ ატარებენ ბაღში, რომ რძის პროდუქტები ჭამონ ბავშვებმა. ახლა რამდენიმე კვირაა, ეს პროდუქტები ამოღებულია ამ განცხადების საფუძველზე, ამ ყველაფერზე ვინ არის პასუხისმგებელი, სამი თვე, რომ ფაქტობრივ ნაგავს ჭამდნენ ბავშვები და აგერ, ეს ყველაფერი ამას ადასტურებს და პლუს ის, რომ რძის პროდუქტები რამდენიმე კვირა უკვე აღარ შედის ბაღებში, – განაცხადა საკრებულოს დეპუტატმა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ბავშვების კვებაზე სკანდალი გორდება. რამდენიმე თვის წინ გაირკვა, რომ სამტრედიაში ბავშვებს ცხენისა და ვირის ხორცს აჭმევდნენ.

წესით, ამ ინციდენტის შემდეგ მაინც უნდა შეესწავლა თბილისის მერია, თუ რით იკვებებოდნენ ბავშვები, მაგრამ ეს მხოლოდ ახლა გააკეთეს.

გუშინ, 2 აპრილს, ასევე ცნობილი გახდა, რომ თელავის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში 23 აღსაზრდელი მოიწამლა.

იმედია, რომ ამ ფაქტების გახმაურების შემდეგ მაინც იზრუნებს ხელისუფლება იმაზე, რომ ბავშვებმა უვარგისი საჭმელი არ ჭამონ.

სურსათში, სუნელებში, საყოფაცხოვრებო ნივთებში, სათამაშოებსა და თავად ბავშვების სისხლში ტყვიის მაღალი შემცველობა გამოვლინდა

არასამთავრობო ორგანიზაციებმა ტყვიის შემცველობაზე თბილისის სხვადასხვა უბანში 17 ოჯახიდან აღებული 268 ყოველდღიური მოხმარების ნივთის სინჯების ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე იანვარ-მარტში კვლევა ჩაატარეს, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ ტყვიის მაღალი შემცველობა აღმოჩნდა როგორც სამშენებლო მასალებში, ისე საყოფაცხოვრებო ნივთებსა და სურსათში.

როგორც მკვლევარმა და ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა გურანდა არქოფაშვილმა „ინტერვრესნიუსს“ განუცხადა, ტყვიის ყველაზე მაღალი კონცენტრაცია სუნელებში, კერძოდ კი ყვითელ ყვავილში აღმოჩნდა.

ამასთან, მისივე თქმით, გამოკვლეული ოჯახების 77%-ს ბავშვები შეადგენდნენ, რომელთა სისხლში ასევე მაღალი იყო ტყვიის კონცენტრაცია.

– ეს იყო ფართო სპექტრის სინჯი და უამრავი რამ შედიოდა მასში. როგორც სამშენებლო მასალა, ასევე საყოფაცხოვრებო ნივთები, ქიმიური საყოფაცხოვრებო საშუალებები, სათამაშოები, საკანცელარიო ნივთები, საოჯახო ნივთები, როგორიცაა კერამიკული ნაკეთობები თუ საძინებლის ატრიბუტები და ასევე სურსათი. ეს პროდუქტები იყო მრავალფეროვანი. შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ უამრავ სინჯში აღმოჩნდა დამაბინძურებელი ტყვია. ამასთან, ტყვიის მაღალი კონცენტრაციით გამოირჩეოდა სათამაშოები, რომლითაც ბავშვები თამაშობენ. საკვები პროდუქტებიდან აღმოჩნდა სუნელებში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოში გამკაცრდა რეგულაციები სუნელებთან დაკავშირებით, ჩვენ მაინც მივაგენით ყვითელ ყვავილში ტყვიის მაღალ კონცენტრაციას.

ასევე იყო სხვადასხვა სუნელებში ტყვიის მაღალი შემცველობა და იყო ბულიონის კუბებში. მათი შემცველობა 3,3-ჯერ აჭარბებდა დასაშვებ კონცენტრაციას, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი და ყურადსაღები ფაქტია. ამასთან, ჩვენს მიერ გამოკვლეული ოჯახების 77%-ს ბავშვები შეადგენდნენ, რომელთა სისხლში საკმაოდ მაღალი იყო ტყვიის კონცენტრაცია, – აღნიშნა გურანდა არქოფაშვილმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„რატომ ეშინიათ სააკაშვილის დაბრუნების, არ მესმის“

პაატა დავითაია: „ნატომ პირდაპირ გვითხრა, რომ საქართველოში ხელისუფლება უნდა შეიცვალოს“

შორენა მარსაგიშვილი

„ზუგდიდის მერის არჩევნები გვაჩვენებს, თუ როგორ ჩატარდება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები“

გარისკავს თუ არა კიდევ ერთხელ ივანიშვილი არჩევნების გაყალბებას, რა გაფრთხილება მისცა დასავლეთმა „ქართულ ოცნებას“, რატომ არის სისულელე სააკაშვილით ხალხის დაშინება, რას გადაწყვეტს ზუგდიდის არჩევნები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი **პაატა დავითაია** ესაუბრება.

– დიდი მცდელობის მიუხედავად, უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები ოლიგარქმა ვერ მოიგო, ხალხმა ის არჩევანი გააკეთა, რომელიც თავად სურდა. ეს განწყობა საქართველოსაც თუ გადმოედება? შარშან საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური აქაც ოპოზიციამ მოიგო, მაგრამ მეორე ტურში ივანიშვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ სხვანაირი შედეგი დამდგარიყო.

– გაერთიანებულმა ოპოზიციამ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურიც მოიგო. საქართველოს მოსახლეობამ კარგად იცის, რა და როგორ მოხდა, ამიტომ დეტალებში არ შევალ, მხოლოდ იმ შეფასებებზე გავამახვილებ ყურადღებას, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა გააკეთეს. მათი შეფასება არის ასეთი – ასე არჩევნების ჩატარება არ შეიძლება,

არავინ იტყვის იმას, რომ არჩევნები არალეგიტიმურია, მაგრამ, პოლიტიკურ ლეგიტიმაციას რომ მოკლებულია, ეს ცალსახად ჩანს.

ნატოს წარმომადგენელმა ღიად და პირდაპირ გვითხრა, რომ უნდა მოხდეს ხელისუფლების ცვლილება. ნატოს წევრობა თუ გვინდა, მათი მოსაზრებებიც უნდა გავითვალისწინოთ.

ნატო არ ნიშნავს მხოლოდ სამხედრო ალიანსს. ამ ორგანიზაციის წევრობისთვის აუცილებელი წინაპირობა დემოკრატიული ღირებულებების აღიარებაა. დემოკრატიული არჩევნები, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა, თავისუფალი მედია – ეს ყველაფერი გადაჯაჭვულია ერთმანეთზე.

ერთია, რომ დასავლეთი ითხოვს დემოკრატიულ არჩევნებს და მეორეა, რას გადაწყვეტს ქართველი ხალხი.

– თქვენი აზრით, რას გადაწყვეტს ქართველი ხალხი?

– ხელისუფლებამ რამე თუ არ შეცვალა – დემოკრატიული ცვლილებები არ განახორციელა – არჩევნებში ოპოზიცია გაიმარჯვებს. არჩევნების გაყალბებას „ოცნებას“ ქართველი ხალხი აღარ აპატიებს. ეს განწყობა უკვე აშკარად ჩანს.

– ამბობთ, ოპოზიცია გაიმარჯვებსო და რომელი ოპოზიცია გყავთ მხედველობაში? სათავისო ოპოზიციას ივანიშვილიც ქმნის.

– გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი გაერთიანებულ ოპოზიციას აქვს. ივანიშვილს სწორედ ამ გაერთიანების ეშინია ყველაზე მეტად. როგორც კი ზუგდიდის მერობის კანდიდატად ქალბატონი სანდრა რულოვსი დავასახელეთ, „ოცნების“ ლიდერი მაშინვე გაიქცა ზუგდიდში და დაპირებები დაპირებებზე გასცა.

არჩევნების მოგების ყველაზე მეტი შანსები გაერთიანებულ ოპოზიციას აქვს, მაგრამ, არ გამოვრიცხავ, ეს ერთობა კიდევ უფრო გაიზარდოს.

საპარლამენტო არჩევნებამდე ერთ წელზე მეტი დროა დარჩენილი. წინასწარ რაიმე პროგნოზების გაკეთება ნაადრევია, მაგრამ ერთ რამეში ახლავე თანხმდება ყველა – ხელისუფლების დამარცხება მხოლოდ ოპოზიციის ერთობით შეიძლება.

ახლა ხელისუფლება ქუჩაში აგდია, ჭკვიანი იქნება ის პოლიტიკოსი, რომელიც ამ ხელისუფლების აღებას მოახერხებს.

გაერთიანება თუ არ შედგა და ოპოზიცია დაიქსაქსა, ეს ივანიშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს – მის ხელთ არსებული რესურსებით ძალაუფლების შენარჩუნებას შეძლებს.

– რა მოხდება, თუ ივანიშვილი შეძლებს ძალაუფლების შენარჩუნებას?

– ასეთ შემთხვევაში, შესაძლოამ ბელორუსის გზას დავადგეთ. შესაძლოა – ევრაზიული კავშირისას. „ოცნების“ ლიდერს ძალაუფლების შენარჩუნების შანსები აქვს. თუ ის დემოკრატიულ ცვლილებებს გაატარებს, შეცვლის საარჩევნო კოდექსს და ოპოზიციის სხვა მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, აქვს შანსები, ხელისუფლებაში დარჩეს.

– ივანიშვილის მიერ მართული ოპოზიცია რას მოიმოქმედებს არჩევნებზე? „ოცნებიდან“ წასული ხალხი იმიტომ ქმნის პარტიებს, რომ ისევ ივანიშვილს დაუჭირონ მხარი.

– ამიტომაც ვთქვი, რომ ოპოზიციის გაერთიანება იქნება ძალიან მნიშვნელოვანი. ოპოზიციის დაქსაქსლობა მხოლოდ ხელისუფლებას აძლევს ხელს. ივანიშვილისგან წამოსული ხალხი შეეცდება, ოპოზიციას ხმები წაართვას.

„ქართული ოცნება“ სერიოზულად ემზადება არჩევნებისთვის. ამაზე ზუგდიდის მერის რიგგარეშე არჩევნებიც მეტყველებს. საპრეზიდენტო არჩევნების დროს აქ ხელისუფლებას 50 კოორდინატორი ჰყავდა უბანზე. მერობის კანდიდატად სანდრა რულოვსის დასახელების შემდეგ 70 კოორდინატორი ჰყავს. 70 კოორდინატორი უბანზე 350 ხმას ნიშნავს.

კოორდინატორები ფულს იმაში იღებენ, რომ არჩევნებზე ხალხი მიიყვანონ და ხელისუფლებისთვის სასურველი კანდიდატისთვის მიაცემინონ ხმა.

ივანიშვილს ულევი ფინანსური რესურსები აქვს და საპარლამენტო არჩევნების დროს უბანზე შეუძლია, 100-100 კოორდინატორი დანიშნონ.

არჩევნების მოგება მხოლოდ გაყალბებით შეუძლიათ, რაც მათთვის სახიფათოა. ამიტომ ურჩევნიათ, ოპოზიციის დაქსაქსვაზე იმუშაონ, რაც სტრატეგიულად სწორია.

ბევრი მუშაობს იმაზე, რომ გაერთიანებული ოპოზიცია დაშალოს. არის ხალხი, ვინც ფიქრობს, რომ ხელისუფლებაში დამოუკიდებლად მოსვლა შეუძლიათ და ამით ოპოზიციას აყენებენ ზიანს.

– ზუგდიდის არჩევნებისთვის „ოცნება“ განსაკუთრებულად ემზადება. ამის ფონზე მარნეულის მერისა და მთაწმინდის ოლქში ჩასატარებელი არჩევნები არც კი ახსოვთ. რა ამისთანა ხიბლი აქვს ზუგდიდს?

– ზუგდიდში გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი არის სანდრა რულოვსი. მისი და გაერთიანებული ოპოზიციის გამარჯვება „ქართული ოცნების“ ჩამოშლის დაწყების საწინდარი გახდება.

– საერთაშორისო ორგანიზაციებს მართლაც ძალიან მწვავე შეფასებები ჰქონდათ საპრეზიდენტო არჩევნებზე. ამ შეფასებების შემდეგ კიდევ გაბედავს ივანიშვილი არჩევნების გაყალბებას?

– არჩევნებსაც გააყალბებენ და სხვა რამეებსაც გააკეთებენ. კიდევ ერთხელ ვამბობ, ზუგდიდში 70-70 კოორდინატორი ჰყავთ 1 უბანზე. ყველაფერზე წავლენ.

არჩევნების გაყალბებას ხალხის მხრიდან ძალიან სერიოზული რეაქცია მოჰყვება. ზუგდიდელებმა ერთი რამე უნდა გაითვალისწინონ – აქამდე „ოცნებას“ სამეგრელო არ ახსოვდა. საკმარისი იყო, გაერთიანებულ ოპოზიციას სანდრა რულოვსის კანდიდატურა დაესახელებინა, რომ ეს რეგიონი გაიხსენეს. ახლა წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ჩვენ რომ მოვიგოთ ზუგდიდის მერის არჩევნები.

– რა მოხდება და საპარლამენტო არჩევნებისთვის მთელი საქართველო გაახსენდებათ, ყველა სოფელს ჩამოივლიან.

– რა თქმა უნდა, ასე იქნება. დაიხარჯება უზარმაზარი ფინანსები. ზუგდიდის არჩევნები გვაჩვენებს იმას, თუ რას აპირებს „ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებზე.

– ზუგდიდის არჩევნებმა „ოცნების“ ლიდერებს რწმენაც გაუძლიერა. გამუდმებით ხვდებიან მაღალი იერარქიის სასულიერო პირებს. თქვენი აზრით, რა როლს შეასრულებს საპატრიარქო ამ არჩევნებში?

– ყველა ხელისუფლება ცდილობს, საპატრიარქოსთან კარგ ურთიერთობაში იყოს. სასულიერო პირები ალბათ მოუწოდებენ თავიანთ მრევლს, რომ ამა თუ იმ კანდიდატს დაუჭირონ მხარი.

ეს მათი საქმეა და ამაში მე არ ჩავერევი, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სასულიერო პირებმა უნდა გაითვალისწინონ, რა ვითარებაა ქვეყანაში. მდგომარეობა არ უმჯობესდება. ხალხი საქართველოდან გარბის. მე სტუდენტებთან მაქვს შეხება და ვიცი, რა განწყობაც აქვს ახალგაზრდებს, ერთი სული აქვთ, აქედან გაიქცნენ.

ჩვენმა მოსახლეობამ ერთი რამე კარგად უნდა გაითავისოს – არჩევნების დღე ის დღეა, როდესაც ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს. ეს 1 დღე განაპირობებს იმას, თუ როგორი იქნება მომდევნო 4 წელი.

თუ რამე გაუმჯობესება იქნება, ხალხი ამას დაინახავს, ჯერჯერობით ყველაფერი უარესობისკენ მიდის.

– საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ ივანიშვილმა ვითარების შესაცვლელად ერთწლიანი ვადა ითხოვა. ნოემბრისთვის შეძლებს ის რაღაცების შეცვლას?

– რისი გამოსწორების პირობაც დადო, იმას აკეთებს კიდევაც – თავის პარტიას დაერია. ამ ცნობილი დაპირებისას მას საქართველო არ უხსენებია, საკუთარი პარტიის დასაღაგებლად ითხოვა 1 წელი.

– პარტიას მაინც თუ ალაგებს?

– რატომ არ ალაგებს? პარტიაში ირაკლი ღარიბაშვილი ტყუილად არ დაუბრუნებია.

რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, ამ ადამიანს პარტიის დალაგების რესურსი ნამდვილად აქვს.

არ ვიცი, რა ხდება „ქართულ ოცნებაში“, მაგრამ რაღაცები ნამდვილად დალაგდება.

ბოლო დროს „ოცნებას“ ვიღაცები გამოეყვნენ. გაჩნდა ილუზიები, რომ პარტიაში რაღაცები ხდება. არაფერიც არ ხდება. წამოსულები მიხვდნენ, რომ 2020 წლისთვის საარჩევნო სიაში ვეღარ მოხვდებოდნენ და ამიტომ წამოვიდნენ. სიაში მოხვედრის შანსი რომ ჰქონოდათ, დარჩებოდნენ და ყველაფერს აიტანდნენ.

მათი წასვლა „ოცნების“ ლიდერსაც აწყობს. მან იცის, რომ წასულების მიმართ ხალხში ნეგატიური განწყობაა. ის ფიქრობს, რომ მათ ადგილზე ახალ ხალხს დაამატებს და საზოგადოების გულს მოიგებს.

– საარჩევნოდ „ოცნებას“ აქვს ერთი მაგარი კოზირი – ჩვენ თუ არ ვიქნებით, მიშა მოვა. აქამდე ამ კოზირმა ყველა არჩევნებზე გაჭრა, მომავალშიც გაჭრის?

– ამ კოზირმა შეიძლება კიდევ ვიღაცაზე გაჭრას. რატომ ეშინიათ ასე მიშას დაბრუნების, არ მესმის. ვთქვათ და მოვიდა მიშა, რა უნდა ქნას ერთმა ადამიანმა? გაერთიანებულმა ოპოზიციამ ვთქვით, რომ ყველაფერზე პასუხისმგებლობას ვიღებთ. თავის მოტყუება თუ უნდა ვინმეს, მაშინ შეეშინდეს მიშას მოსვლის.

ჩემამდე არ დადის, რა უნდა ქნას ამ ერთმა მიშამ? ძველი მინისტრების დაბრუნებას ის არ აპირებს. ამის შესახებ თავადაც თქვა და გაერთიანებული ოპოზიციაც ვიძლევით იმის გარანტიას, რომ ძველი არ დაბრუნდება.

– ამ მიშასთან დაკავშირებით ერთი უცნაურობაც ხდება. მიშას დაბრუნებით აშინებენ ხალხს და მიშას მოსამართლეები უვადოდ წამოასკუპეს.

– მარტო მოსამართლეები? ყველა, ვის მიმართაც ხალხს იმ 9 წლის განმავლობაში პრეტენზიები ჰქონდა, დღეს ხელისუფლებაშია. ნაციონალებიდან, მიშასა და რამდენიმე კაცის გარდა, ახლა ყველა „ოცნების“ სამსახურშია და რატომ ეშინიათ სააკაშვილის დაბრუნების, არ მესმის.

ივანიშვილი კვირიკაშვილს შეურიგდა

შორენა მარსაგიშვილი

აშკარაა, რომ „ოცნების“ მამამთავარი პარტიაში ძველი სახეების დაბრუნებაზე სერიოზულად მუშაობს. ახალი სახეების გამოხდომებმა ხალხს არცთუ კარგად დავიწყებული ძველები მოანატრა.

ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნების შემდეგ „ოცნების“ ცის კაბადონზე, შესაძლოა, კიდევ ერთი ექსპრემიერის ვარსკვლავი აციმციმდეს. საუბარია გიორგი კვირიკაშვილზე, რომელიც მმართველი პარტიიდან და მთავრობიდან სკანდალებით წავიდა.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ უცხოელი ბიზნესმენებისა და სასულიერო პირების ჩართულობით ბიძინა ივანიშვილი და გიორგი კვირიკაშვილი შერიგდნენ.

არადა, სულ ცოტა ხნის „ოცნების“ კულუარებში საუბრობდნენ, რომ შესაძლოა კვირიკაშვილი დაეჭირათ. გავრცელებული ინფორმაციით, მან დიმიტრი ქუმსიშვილთან და ზურაბ ალავიძესთან ერთად ასეულობით მილიონი „მოტეხა“ ბიუჯეტიდან.

ამ თანხებზე ქუმსიშვილი და ალავიძე პროკურატურაში უკვე იყვნენ გამოკითხვაზე. იგეგმებოდა კვირიკაშვილთან გასაუბრებაც. გაესაუბრნენ თუ არა ექსპრემიერს საგამოძიებო უწყებაში, უცნობია. მასთან დაკავშირებით მხოლოდ ის ვიცით, რომ რაღაც დრო მონასტერში გაატარა.

ჩვენი წყარო არ გამორიცხავს, რომ ივანიშვილისა და კვირიკაშვილის დაზავება მამუკა ხაზარაძის სკანდალებს უკავშირდებოდეს. ხაზარაძე აქტიურად იყო დაკავშირებული ექსპრემიერთან. მათი სახელები უკავშირდებოდა ანაკლიის პორტის მშენებლობას.

კვირიკაშვილის წასვლის შემდეგ ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ მისი პოსტი ანაკლიის პორტმა შეიწირა, რომლის აშენებაც რუსეთსა და ივანიშვილს არ სურდათ.

ამ თემაზე სკანდალები მთავარ მეოცნებეს აღარ აწყობს. ხაზარაძემ მათ ისედაც ბევრი პრობლემა შეუქმნა. ამ მიმართულებით კვირიკაშვილსაც შეუძლია სკანდალების აგორება.

მთავარ მეოცნებესთან პრემიერყოფილს მხოლოდ ანაკლიის გამო არ გაჰფუჭებია საქმე. ივანიშვილი დაარწმუნეს, რომ გასული წლის ივნისში რუსთაველზე მიმდინარე აქციებს ხაზარაძე და კვირიკაშვილი აფინანსებდნენ.

არადა, იმ დროისთვის „ოცნება“ პრეზიდენტობის კანდიდატად კვირიკაშვილის დასახელებას აპირებდა. ვიღაცას ეს არ სურდა და მას არაფორმალურ მმართველთან ურთიერთობა დაუძაბეს.

სხვათა შორის, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა კვირიკაშვილისა და ივანიშვილის გზები გაიყო. მათ შორის უთანხმოება ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამდე მოხდა.

პრემიერყოფილი მაშინ არაფორმალური მმართველის ბანკში მუშაობდა და იქიდან მოუწია წასვლა. მერე ყველაფერი დალაგდა. კვირიკაშვილი ივანიშვილმა ჯერ ეკონომიკის მინისტრად დასვა, მერე საგარეო უწყებაში გაუშვა, ბოლოს კი მთავრობა ჩააბარა.

ახლა მათ ისევ დაალაგეს ურთიერთობები. ვნახოთ, დაბრუნდება თუ არა ღარიბაშვილის მსგავსად კვირიკაშვილი პოლიტიკაში.

მირიან მირიანაშვილი: „რუსეთის ახალი ფავორიტი სანდრა რულოვსია“

მარიამ მჭედლიშვილი

მმართველი პარტიის თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის სამეგრელოში ჩასვლიდან რამდენიმე დღე გავიდა, თუმცა საზოგადოებაში არ წყდება მითქმა-მოთქმა ამ ამბისა და ზვიად გამსახურდიაზე გაკეთებული განცხადებების თაობაზე. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

მირიან მირიანაშვილი:

– საზოგადოების დაინტერესება ამ თემით გასაკვირი არ არის. ეჭვები ბუნებრივად ჩნდება. შეშფოთების მიზეზი ნამდვილად არსებობს.

– საქმე მარტო ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნებში და არჩევნების წინ იქაურების გულის მოგებაში არ არის?

– სააკაშვილი ვერ ჩამოდის საქართველოში. იგი თავის მომხრეებს ევროპიდან დესანტის გადმოსხმას შეჰპირდა, თუმცა, მერე მოულოდნელად გაჩერდა. რუსეთს ევროპიდან სააკაშვილის შემოყვანის გეგმა ჩაუფლავდა. კრემლი სააკაშვილისთვის ძალაუფლების გადაბარების გეგმას არ ეშვება. ამ ეტაპზე ამისთვის გამოიყენება შუალედური არჩევნები. ამ შემთხვევაში რუსეთს მხოლოდ ზუგდიდი აინტერესებს. ოღონდ, ეს უნდა გახდეს ერთი ეტაპი ძალაუფლების გადასაბარებლად.

– იქ გაერთიანებული ოპოზიციიდან სანდრა რულოვსი იყრის კენჭს.

– სააკაშვილი აცხადებს, რომ რულოვსი მის საქმეს აკეთებს. ამაში ის არ ტყუის.

– ზუგდიდშიც გადაბარება იგეგმება?

– ზუგდიდი და მისი მერის არჩევა უნდა გახდეს საეტაპო შემდგომი გადაბარებისთვის. ბიძინა ივანიშვილის სიარულს და აქტიურობას სამეგრელოში თავისი მიზანი აქვს. დასავლეთის წინაშე ყველაფერი დამაჯერებლად უნდა გათამაშდეს. პირდაპირ ხომ არ ჩააბარებს ზუგდიდს სააკაშვილს და მის გარემოცვას! სამეგრელოს ფაქტორი კრემლისთვის კარგად გასათამაშებელია. გარკვეული ხნის წინ იქ სამწუხარო მოვლენები განვითარდა. 90-იანი წლების გამეორებისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ახლაც ჩაფიქრებულია შერბილებული დაპირისპირება თბილისსა და სამეგრელოს შორის. ალბათ, სანდრა გახდება ზუგდიდის მერი. დაიწყება კონფრონტაცია თბილისთან მოსკოვის მეგრული წარმოშობის ქართული დიასპორის ჩართვით.

– დავუშვათ, ზუგდიდში ოპოზიციამ გაიმარჯვა „ოცნების“ ლიდერების დახმარებით. კონფლიქტი რატომ უნდა წარმოიშვას? დაძაბულობა და გაღიზიანება კი, ივანიშვილის მხრიდან ზვიად გამსახურდიას ხსენებამ უკვე გამოიწვია.

– რუსების გეგმით, დაიწყება ბრძოლა ნაციონალების სამეგრელოსა და „ოცნების“ ცენტრს შორის. ის უნდა გადაიზარდოს შეჯახებაში რულოვსსა და ივანიშვილს შორის. ეს ერთგვარი პიარი იქნება სანდრა რულოვსისათვის. რუსეთის ახალი ფავორიტი სანდრა რულოვსია.

– ახალი ფავორიტი რას ნიშნავს? მომავალში მას უფრო დიდი მასშტაბის ფიგურად მოიაზრებენ?

– რასაკვირველია. ზუგდიდის მერობა საბოლოო ამოცანა არ არის. მასზე ყურადღება შეჩერდა იმის გამო, რომ ამ ადამიანის ბიოგრაფია არ უკავშირდება რუსეთს. ყოველ შემთხვევაში, დასავლეთი ამ საბაბით მას ვერ მოედავება. ჯერ კიდევ თებერვალში სანდრა რულოვსს გუდაურში შეხვდა პუტინის თანაშემწე სურკოვის წარმომადგენელი და იგი ზუგდიდის მერის არჩევნებში მონაწილეობაზე დაიყოლია. მართალია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ გრიგოლ ვაშაძე აირჩიეს, მაგრამ მოსკოვის გრძელვადიანი გეგმები მის სახელს არ უკავშირდება. თანაც, ვაშაძე ლავროვის პროტეჟეა. ბოლო დროს საქართველოს პოლიტიკის კურირება ლავროვისგან ისევ სურკოვმა ჩაიბარა. სააკაშვილის გააქტიურება და რულოვსის წინ წამოწევა სურკოვის იდეაა.

– ლავროვს თავისი გეგმები არ გამოუვიდა?

– დასავლეთმა არ დაუშვა რუსეთში შემუშავებული ძალაუფლების გადაბარების წინანდელი სქემების რეალიზაცია. ბოლო წლებში ამ სქემების უკან სერგეი ლავროვი იდგა. მას ხელი მოეცარა როგორც გრიგოლ ვაშაძის გაპრეზიდენტების, ისე ბოკერიას გუნდის მოყვანის შემთხვევებში. იმედი მაქვს, კრემლს ბოლო სქემაც ჩაუვარდება, სადაც სურკოვის ფავორიტი რულოვსია.

– სააკაშვილი ირწმუნებოდა, უკრაინაში გავაქტიურდებიო. თუ უკრაინის პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში ზელენსკი გაიმარჯვებს, სააკაშვილისთვის გზა ხსნილი ხდება?

– ზელენსკიმ სააკაშვილი და მისი უკრაინაში დაბრუნება ახსენა იმიტომ, რომ ამაზე მას ქართველმა ჟურნალისტებმა ჰკითხეს. სააკაშვილს შეიძლება მისცენ უკრაინაში ჩასვლის უფლება, მაგრამ არავინ მოაკიდებინებს ფეხს უკრაინის პოლიტიკაში. სააკაშვილს და მის პარტიას უკრაინაში რეიტინგი არასდროს ჰქონია. ამასთან, საქართველოს მესამე პრეზიდენტი მხილებულია ანტიუკრაინულ ქმედებებსა და რუსეთთან კავშირში. სააკაშვილს გასაქანს არ მისცემს ფაქტობრივად მთელი უკრაინული პოლიტელიტა.

უკრაინული ელიტა წარმოდგენილია პარლამენტში, მთავრობასა და სხვადასხვა გაერთიანებაში. ზელენსკი პოლიტელიტის წინააღმდეგ არ და ვერ წავა. თუ მოახერხებს და ჩავა უკრაინაში, სააკაშვილი ჩვეულებრივი მოქალაქე იქნება. რუსეთის სპეცსამსახურები სააკაშვილს დეტონატორად იყენებენ ხან საქართველოში, ხან - უკრაინაში. აშშ-ის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი უკრაინის საკითხებში კურტ ვოლკერი გარკვეული ხნის წინ თბილისში იყო ჩამოსული.

– ბიძინა ივანიშვილთან მისი საუბრის შინაარსი საიდუმლოდ დარჩა.

– იგი საქართველოს კურატორია. ვაშინგტონს არ ჰყავს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში. ამ მისიას ვოლკერი ითავსებს. რეალურად, მას ელჩზე მეტი რანგი აქვს და ის მინისტრს უტოლდება. ელჩის კანდიდატურა ივანიშვილმა დაიწუნა. აშშ-ის ტრადიციით, დაწუნებული კანდიდატის ნაცვლად ამ ქვეყანაში უფრო ხისტს აგზავნიან. ვაშინგტონი არც სხვას აგზავნის, რითაც ბიძინა ივანიშვილს და რუსეთს ხელიდან აცლიან დაწუნების ბერკეტს. ივანიშვილთან ვოლკერის საუბრის 90% უკრაინას ეხებოდა. მან გააფრთხილა საქართველო, არ დაუშვას მიშისტების საფარქვეშ უკრაინის არჩევნებზე დესანტის გადასხმა. პოროშენკოს წინააღმდეგ დესანტის გადასხმა იგეგმებოდა.

– საზოგადოების ნაწილი რატომღაც დარწმუნებულია, რომ ვოლკერმა ივანიშვილს ბოკერიას გუნდისთვის ხელისუფლების გადაბარება მოსთხოვა.

– ეს აბსურდია. ქართულ პოლიტიკაში ისეთი ისტორიული ხანა დგება, რომ იცვლება მთელი პოლიტიკური სპექტრი. ვაშინგტონი აღარ მიიღებს რუსეთში დამუშავებულ ე.წ. პროდასავლელ ლიდერებს და მათ ცრუ პროდასავლურ პარტიებს. გიგა ბოკერია ამათშიც არ მოიაზრება. ის მოჩვენებითად პროდასავლელიც არ არის. „ევროპულ საქართველოს“ დასავლეთში ლავროვის პარტიას ეძახიან. რუსული პოლიტტექნოლოგიების დრო დამთავრდა. 2020 წლისთვის საქართველოს პოლიტიკური სისტემის კონსტრუირება კრემლიდან აღარ მოხდება. ამ დროისთვის აღარც ბიძინა ივანიშვილი იქნება პოლიტიკური ლანდშაფტის შემქმნელი.

რულოვსი გახდება მერი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მომავალში დასავლეთი მას ლიდერად აღიარებს. იმისთვის, რომ გადაიფაროს სანდრა რულოვსის ალიანსი რუსეთთან, მასზე ქართული და რუსული სპეცსამსახურები ათასნაირ ჭორს დაყრიან. ალბათ, ისლამისტებთან კავშირსაც დააბრალებენ.

ზუგდიდი-თბილისის დაპირისპირება რულოვსის გასაპიარებლად უნდა მოხდეს. ეს იქნება დატესტვა. მთავარია, კონფლიქტის ტალღამ დედაქალაქში არ გადმოინაცვლოს და გადაბარების მომდევნო ეტაპი არ შედგეს.

დარწმუნებული ვარ, კრემლს ეს არ გამოუვა.

„კომიკური იყო, ერთ დღეში „ოცნება“ ზვიადისტებად რომ გადაიქცა“

თორნიკე შარაშენიძე: „რაღაც ზღვარზე რომ მივა ამდენი სულელური შეზღუდვა, ერთ მშვენიერ დღეს იფეთქებს“

ნონა ცაბაძე

როცა ადამიანი ხელისუფლებაშია 6-7 წელი და გაბრუებულია ამ ნარკოტიკით, რომელსაც ჰქვია ძალაუფლება და იოლი ფული, კორუფციით ნაშოვნი ფული, ის უკვე ვეღარ აზროვნებს რაციონალურად და ასეთ კითხვებს არ სვამს საერთოდ, როგორსაც ჩვენ ვსვამთ. აი, ეს არის პრობლემა.

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, საპროტესტო მუხტი საზოგადოებაში საგრძნობლად მატულობს. ეს ყველაფერი მალე მას შტაბურ ხასიათს მიიღებს და შესაძლოა სიტუაცია უკონტროლო გახდეს, ხელისუფლება კი გასულია მომსახურების ზონიდან. რას იტყვით თქვენ?

– ხელისუფლების პრობლემა არის ის, რომ თვითონ უშუალოდ მინისტრთა კაბინეტი, ერთი-ორი ადამიანის გამოკლებით, არის ძალიან სუსტი, არა აქვთ ხედვა, არა აქვთ სტრატეგია და არიან ძალიან ფრთხილები, ყველაფერს ერიდებიან.

ასეთ სიტუაციაში ხელისუფლება აწესებს რეგულაციებს ღამის ყოველდღე და ეს ძირითადად ქალაქის მერს ეხება. ხან რა იკრძალება და ხან რა იკრძალება. იმ სიტუაციაში, როდესაც მთავრობა სუსტია, ასეთი რეგულაციების დაწესება და ხალხის მოხრჩობა არის ძალიან უგუნური ნაბიჯი. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს გადაიზარდოს ძალიან დიდ საპროტესტო აქციაში, სადაც ყველა ერთად მიიღებს მონაწილეობას, დაწყებული მძღოლებით და დამთავრებული მშენებლობის მუშაკით.

– მეორე მხრივ, კეთდება შეფასებები, რომ ამდენი უბედურება ხდება და რეგულაციები აუცილებელია.

– ესენი რეგულაციებს სულ სხვა მიმართულებით აწესებენ. ტაქსისტებს ზღუდავენ, ცელოფნებს კრძალავენ. რატომღაც ამ მიმართულებით აწესებენ რეგულაციებს და არა მშენებლობაზე უსაფრთხოების გამკაცრების მიმართულებით. რომ იტყვიან, სულ სხვაგან არიან.

– ძალიან დიდია პროტესტანტების რიცხვი, ვინც „ოცნების“ ხელისუფლებით უკმაყოფილოა. რას უნდა ველოდოთ?

– კი, ნამდვილად ასეა. აქამდე იმის იმედი ჰქონდათ, რომ ხალხი იმდენად დაიღალა რევოლუციებით, გადატრიალებით და არასტაბილურობით, ყველაფერს აიტანსო. თუმცა ყველაფერს საზღვარი აქვს. რაღაც ზღვარზე რომ მივა ეს ამდენი სულელური რეგულაცია და შეზღუდვა, ერთ მშვენიერ დღეს იფეთქებს მართლაც.

– თავად არ იციან და მრჩევლები მაინც არ ჰყავთ, რომ რაიმე აზრიანი ურჩიონ ამ ხელისუფლებას?

– მაგის ნიშანსაც კი ვერ ვხედავ. რომ ვუსმენ რა სისულელეებს ლაპარაკობენ გარეთ, წარმომიდგენია, რამდენ სისულელეს ლაპარაკობენ შიგნით.

– წინ შუალედური არჩევნებია, ვის რა შანსები აქვს? ეს ხომ არ იქნება რეპეტიცია ვადამდელი არჩევნებისთვის?

– არა მგონია, ვადამდელი არჩევნები იყოს. შუალედური არჩევნები თავისთავად ტესტია. გამოვლინდა უკვე ეს ტესტი, ვნახეთ, რომ უცებ, ერთ დღეში მთელი „ქართული ოცნება“ იქცა ზვიადისტებად. ეს კომიკურია, იმიტომ, რომ „ოცნება“ შედგება შევარდნაძის დროინდელი კადრებით, შევარდნაძის, რომელიც იყო გამასახურდიას პირადი მტერი. ეს ყველაფერი კომიკურია და გულისამრევია. ამ მაგალითზე გამოჩნდა, რომ ხელისუფლებას შუალედური არჩევნების სერიოზულად ეშინია.

– ამ საქმის გამოძიებას გვპირდება ხელისუფლება. თქვენ ამის არ გჯერათ?

– გამასახურდიას საქმის გამოძიება, უბრალოდ, სისულელეა. ძალიან დიდი დრო გავიდა იმის შემდეგ და გამოძიება პრაქტიკულად შეუძლებელია. შუალედურში რომ ამის პირობა მოგვცეს, წარმოიდგინეთ, რეებს დაჰპირდებიან ხალხს 2020 წლისთვის. ალბათ გაიხსენებენ ჟვანიას მკვლელობას, გაიხსენებენ, როგორ მოაკვლევინა მიშამ პატარკაციშვილი, არაა გამორიცხული, რომ გამასახურდიას მკვლელობაც სააკაშვილს დააბრალონ, ამათგან არაფერი გამიკვირდება. არჩევნების წინ ხომ ყველაფრის ჩამდენი მიშა ხდება.

– ანუ გონივრულ ნაბიჯებს მათგან არ ელოდებით?

– მათი საარჩევნო ბრძოლა აგებულია არა იმაზე, რომ რამე გააკეთონ, არამედ იმაზე, რომ ლანძღონ ოპოზიცია.

– შუალედურ არჩევნებზეც შეეცდებიან გაყალბებას?

– სამწუხაროდ, კი. არანაირი ნიშანი არ ჩანს იმის, რომ კრიტიკას იღებენ და ითვალისწინებენ. ხომ ნახეთ, კრიტიკას არ იღებენ არც ეუთოსგან. ხან ეუთოს დააბრალეს, რომ აზრზე არ არიან, რას წერენ და ხან ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს. ამის მერე გააყალბებენ, აბა, რას იზამენ, როცა კრიტიკის მიღება არ უნდათ.

– სწორედ შუალედური არჩევნები ხომ არ ააგორებს საპროტესტო ტალღას?

– ეს რთული სათქმელია. იმდენად არაპროგნოზირებადია თვითონ ხელისუფლების ქმედება, რომ სიტუაციაც არაპროგნოზირებადი ხდება. ნებისმიერ მომენტში შეიძლება აგორდეს ეს ტალღა და ამის მიზეზი გახდეს ყველაფერი. მათ ქმედებას ჩემი ლოგიკა არ ყოფნის, ძალიან მიჭირს განვსაჯო, რას გააკეთებენ. ასეთი სიბრიყვე ვერც კი წარმომედგინა, რომელიმე ხელისუფლება იტყოდა, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ტყუილებს წერს იმიტომ, რომ სინამდვილეში არ იცის, რა ხდებაო.

– ოპოზიციის და არასამთავრობო ორგანიზაციებზე დაყრდნობით წერენ დასკვნებსო.

– ასეთ განცხადებებს ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი ვინმესგან. ასეთი რამ არ უთქვამს გამასახურდიას მთავრობასაც კი, რომელიც იყო ძალიან გამოუცდელი.

– ღარიბაშვილის მისვლამაც ვერაფერი უშველა „ოცნების“ პოლიტიკას?

– ღარიბაშვილი გამაერთიანებლად მიიყვანეს და რა გამაერთიანებელიც არის ღარიბაშვილი, გვახსოვს ძალიან კარგად. ყველასთან კონფრონტაცია ჰქონდა, როცა პრემიერი იყო.

– პარლამენტის თავმჯდომარედ მოგვევლინება ღარიბაშვილიო და თქვენც ასე ფიქრობთ?

– ჯერ ამ პარლამენტის თავმჯდომარემ უნდა შეასრულოს დავალება, რომელიც მას მისცეს, მოსამართლეების გათრევა და მერე უკვე შეიძლება მისი მოშორება. ჯერჯერობით არ მოიშორებს ივანიშვილი, სანამ ამ დავალებას არ შეასრულებს. კობახიძეც შეეცდება, რომ ეს დავალება ხუთიანზე შეასრულოს.

– ძალიან ბევრი პრობლემა უგროვდება ხელისუფლებას მოსაგვარებელი და რამდენად შეძლებს თავი გაართვას? ხომ არ ჩაითრევს საზოგადოებას ახალ დაპირისპირებაში?

– დაპირისპირება თუ იქნება, იქნება ერთადერთი – მხოლოდ საზოგადოებას და ხელისუფლებას შორის. საზოგადოების შიგნით დაპირისპირებას ვერ ვხედავ. ვერც იმ ადამიანებს ვხედავ, ვინც

გაგრძელება მე-5 გვერდზე

სოსო ცინცაძე: „ქართულ ოცნებას“ კატასტროფული საკადრო კრიზისი აქვს“

ნათია ხურცილავა

მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნები არ იქნება საპრეზიდენტო არჩევნები, ის, რაც უკვე იყო. ხელისუფლებამ იცის, რომ წითელ ხაზებზე მიუთითეს და მას ვერ გადაკვეთს

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები, რომ 30%-ით შოუმენი ზელენსკი ლიდერობს, ცოტა ხნის წინ სომხეთში არაპოლიტიკოსი პაშინიანის გამარჯვება, რაზე მეტყველებს. ელექტორატი ტრადიციულ პოლიტიკოსებზე უარს ამბობს და რამდენად შეიძლება ეს სიმპტომატური იყოს საქართველოსთვის?

– ძალიან საინტერესოდ არის საკითხი დაყენებული. თუმცა, მე აქვე ვიკითხავდი, სად ხდება ეს ყველაფერი? სადაც ახალგაზრდა დემოკრატიაა, სადაც დემოკრატია ჩანასახოვან მდგომარეობაშია და თან პოსტსაბჭოთა სივრცეში. სადაც დაბალი პოლიტიკური კულტურაა და თქვენ მიერ ნახსენები ე.წ. ელექტორატი ვერა და ვერ ჩამოყალიბდა. ქართველი ამომრჩეველი კლასიკური გაგებით ელექტორატად ვერ იქცა.

უცებ ადამიანები, მოდი ასე ვთქვათ, ქუჩიდან ლიდერები ხდებიან და უზარმაზარ რეიტინგს ხსნიან. უკან იტოვებენ მოქმედ პრეზიდენტებსა თუ პრემიერებს. თავის დროზე ჟურნალისტი პაშინიანი სომხეთში, ახლა უკრაინაში შოუმენი ზელენსკი და უახლოეს დღეებში ჩვენთან ფილარმონიის დარბაზს გაავსებს პოეტი მაღრაძე.

რა არის ეს ყველაფერი? რაზე მიანიშნებს? რასაკვირველია, იმ რეალობაზე, რომელიც ამ ქვეყნებშია. ეს ხომ არ არის კარგი ცხოვრებისგან? ადამიანები ეძებენ, ძიების პროცესში არიან. უპირველეს ყოვლისა, ეს მეტყველებს იმაზე, რომ ტრადიციულმა პოლიტიკამ, პოლიტიკოსებმა ვერ გაამართლეს. თან, როგორც გითხარით, ამ ქვეყნებში მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის დაბალი პოლიტიკური კულტურა. ბეცი პოლიტიკური დონე და გაუნათლებლობა. რაღაცნაირი დამოკიდებულება არჩევნების მიმართ და საერთოდ პოლიტიკის მიმართ.

სიმართლე გითხრათ, 90-იან წლებში მე ვიმედოვნებდი, რომ როდესაც ჩემი თაობის პოლიტიკოსები წავიდოდნენ პოლიტიკიდან და თაობათა ბუნებრივი ცვლა მოხდებოდა, ეს პრობლემაც თან წაყვებოდა იმ ძველ თაობას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მწარედ ვცდებოდი. მოვიდნენ ახალგაზრდები, მაგრამ ბევრი ვერაფერი ვერ შეცვალეს. სწორედ ასე ვუყურებ ამ პროცესსაც. მე დიდი იმედი არ მაქვს, რომ ტრადიციული პოლიტიკის თუ პოლიტიკოსების უგულებელყოფით, შოუმენებისა და მსახიობების ჩანაცვლებით, რამე სიკეთისკენ შეიცვლება.

– სკეპტიკურად ხართ განწყობილი?

– აბა, მითხარით, სად გინახავთ უცებ ქუჩიდან მოსული კარგი ქირურგი?! ასე არ ხდება. ეს ყველაფერი მე მაინც დროებითი მოვლენა მგონია.

– რამდენად შეიძლება სიმპტომატური იყოს ეს პროცესი საქართველოსთვის? როდესაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა, ერთ-ერთ მიზეზად სომხეთში განვითარებული მოვლენები დასახელდა.

– დიახ, მეც კარგად მახსოვს ეს პარალელი. სიმართლე გითხრათ, სულაც არ გამოვრიცხავ, რომ მეზობელი სომხეთის მაგალითი გაეთვალისწინებინა ივანიშვილს მაშინ და მართლაც რეალური ყოფილიყო ეს მიზეზი.

რა თქმა უნდა, სიმპტომატური იქნება. ზუსტად იგივე გველის ჩვენც. ამ ქვეყნების ერთ საერთო მიზეზზე მე უკვე ვისაუბრე. თან პლუს ადამიანები, როგორც არასდროს, ისე არინა იმედგაცრუებულები და ეძებენ მათთან უფრო ახლოს მყოფს, ერთი სიტყვით, თავისიანს ეძებენ. 25 წელზე მეტია ერთსა და იმავე წრეზე ვტრიალებთ და ადამიანები გამოსავლის ძიებაში არიან. ამაში მე დასაძრახს ვერაფერს ვერ ვხედავ, უბრალოდ, მე ეჭვი მეპარება, რამდენად გაამართლებს.

მაგალითად, ზელენსკი საერთოდ პოლიტიკის აზრზე არ არის. ცხადია, ძალიან ძლიერი მრჩevelები ეყოლება, მაგრამ როდესაც წავიკითხე მისი ინტერვიუ, საკუთარ თავალებს არ ვუჯერებდი. ამ ინტერვიუში ის ამბობს, რომ პუტინს ტერიტორიებს დავაბრუნებინებ და თან ზარალის ანაზღაურებასაც მოვთხოვო, ხომ წარმოგიდგენიათ, რა დონეზე შეიძლება ის პოლიტიკის აზრზე იყოს?!

– თქვენ ახსენეთ დათო მაღრაძე, მის მოძრაობას რა შანსები აქვს?

– მე არ გამოვრიცხავ, რომ აი, ის, შუაში მყოფი ხალხი, რომელსაც არც „ოცნება“ უნდა და არც „ნაციონალები“, სწორედ იქ წავიდნენ.

– ეს არ არის ცოტა რაოდენობა, დაახლოებით 60%-ზეა საუბარი...

– დიახ, თუმცა, ვნახოთ, ჯერ პირველი შეკრებაც არ ყოფილა. პირველივე შეკრებაზე, გამომსვლელებზე, იქ გახმოვანებულ მესიჯებზე, ხალხზე, ბევრი იქნება დამოკიდებული. თან ამ ყველაფრის მოსმენის და დანახვის შემდეგ უკვე სრული ანალიზიც შეიძლება.

– რამდენად დაუშვებს ხელისუფლება, სერიოზულ ძალად იქცეს, რომ არჩევნებში სერიოზული შედეგები ჰქონდეს?

– თქვენ წარმოიდგინეთ, უკრაინაში პოროშენკომ არჩევნები ვერ გააყალბა. განა არ უნდოდა?! ერთადერთი დარღვევა, რაც იყო, ეს იყო საარჩევნო უბნებზე ლოთობა, ძირითადად ლოთების გარეკვა უწევდა პოლიციას. მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნები არ იქნება საპრეზიდენტო არჩევნები, ის, რაც უკვე იყო. ხელისუფლებამ იცის, რომ წითელ ხაზებზე მიუთითეს და მას ვერ გადაკვეთს.

– ზუგდიდის არჩევნებში სანდრა რულოვსს რა შანსები აქვს, როგორ ფიქრობთ?

– მე არ გამოვრიცხავ, რომ სანდრა რულოვსს ზუგდიდში სერიოზული შანსები ჰქონდეს, მაგრამ არა მგონია, რომ ასე მარტივად დათმოს ივანიშვილმა ზუგდიდი. როდესაც, 2012 წელს ზუგდიდი წააგო ირაკლი ალასანიამ, ალასანია მას მერე მოიძულა. სამეგრელოს დათმობა ასეთი მარტივი არ არის. ეს იცოდა ყველა ხელისუფალმა და ეს იცის ივანიშვილმაც.

– თქვენც ამბობთ, რომ სამეგრელოში მისი სტუმრობა წინასაარჩევნო პიარის ნაწილი იყო?

– რასაკვირველია, ამაში ეჭვი ოდნავადაც არ შეიძლება ვინმეს შეეპაროს.

– მთაწმინდის ოლქის შედეგებიც საინტერესო იქნება. როგორ შეიძლება აქ მოვლენები განვითარდეს?

– ლადო კახაძის დაყენება მთაწმინდაზე მხოლოდ ერთადერთ რამეზე მეტყველებს – „ქართულ ოცნებას“ კატასტროფული საკადრო კრიზისი აქვს. მე ვიცნობ ლადო კახაძეს. კარგი კაცია, კარგი ექიმია, კარგი თამადა, მაგრამ ცუდი პოლიტიკოსია.

– სერიოზული კონკურენტები ჰყავს...

– თქვენ ახსენეთ კონკურენტები. თუ ოპოზიცია არ გაერთიანდება და არ მოიქცევა ისე, როგორც თურქული ოპოზიცია იქცევა, მაშინ მათ შანსები ნაკლები ექნებათ. ოპოზიციის გამოსავალი არის გაერთიანება და ერთი კანდიდატის მხარდაჭერა.

„დირსის“ გენდირექტორი: „შეჭრილები ბინების შიდა ხის კარებს ამტვრევენ და წვავენ“

– ჩვენ არ გვაქვს ამ ფორმის მოლაპარაკებების გამოცდილება და არ გვინდა, დევნილების პირისპირ აღმოვჩნდეთ, რადგან შესაძლებელია, ბევრი შეცდომა დავუშვათ.

ამის შესახებ „ას ჯორჯია-დირსის“ გენერალურმა დირექტორმა ბესიკ ჯიქურაულმა პრესკონფერენციაზე, „დირსის“ ორ კორპუსში დევნილების შეჭრასთან დაკავშირებით განაცხადა.

მისივე თქმით, ეს ფაქტი აზარალებს მათ ბიზნესს და საფრთხეს უქმნის ინვესტიციების განხორციელებას.

– სამი დღის წინ, ათეულობით ადამიანი შეიჭრა ჩვენს კერძო საკუთრებაში. მათ ბინების კარებები დაამტვრიეს, ფიზიკურად გაუსწორდნენ ჩვენს დაცვის სამსახურს, დაიკავეს სადარბაზოები და გამოიკეტნენ. მე ვფიქრობ, რომ ეს არის კერძო საკუთრების ძალიან ცუდი გზით შელახვა, რაც არის დაუშვებელი. პოლიცია უმაღლეს დონეზე მუშაობს პირველივე დღიდან, თუმცა მათ არ აქვთ უფლება ისინი იძულების წესით გამოიყვანონ გარეთ. მე მინდა მათ მოვუწოდო: ეს არის კერძო საკუთრება, ჩვენი ქონება. მათი ქცევით ზიანი ადგება ჩვენს ინვესტიციას და ჩვენს სამომავლო გეგმებს, – განაცხადა ჯიქურაულმა.

მისივე ინფორმაციით, სახელმწიფო სტრუქტურები ჩართულები არიან მოლაპარაკებების პროცესში, თუმცა ორი დღეა „დირსის“ კორპუსებში შეჭრილ მოსახლეობასთან დიალოგი უშედეგოდ სრულდება.

– არ შეიძლება არც ერთი მიზეზით და არც ერთი მიზნით კერძო საკუთრების ასე ტყვედ აყვანა. ზოგადად, ყველა სადარბაზოსთან დგას დაცვის სამსახური. თუმცა, ჩვენ ნამდვილად არ ვიყავით მზად ასი კაცის თავდასხმისთვის და ვერ მოვასწარით ჯეროვანი რეაგირება. ჩემი თვალით ვნახე, რომ ამტვრევდნენ კარებებს, თითქოს ამაში არავის ენერგია არ ყოფილა ჩადებული. არ შეიძლება საკუთარი ბინის მისაღებად სხვისი ბინის ან სხვისი საკუთრების ასე ხელყოფა. 60-მდე ადამიანია გამაგრებული ძირითადად პირველ სართულებზე და სადარბაზოებში. ეს კორპუსები არის მშენებარე, ზოგ სართულზე კაბელები ღიაა, ამიტომ ელექტროენერგიის მიწოდება არ ხდება, არც წყლის, რადგან სართულების დატბორვის საშიშროებაა დაუმთავრებელი სამუშაოების გამო. შეჭრილები ბინების შიდა ხის კარებს ამტვრევენ და წვავენ, – განაცხადა ჯიქურაულმა.

ბაზარს კიდევ ერთი საფინანსო კომპანია ტოვებს

ბაზარი კიდევ ერთმა საფინანსო კომპანიამ დატოვა. ეროვნული ბანკი „მისო მო მანი კრედიტის“ გადახდისუუნარობის საქ-

მისწარმოების დაწყებაზე თანახმაა. ახლახან ლიკვიდაციაში „ბი. აი. ჯი“ გადავიდა. 2018 წელს კი ბაზარი კიდევ რამდენიმე ორგანიზაციამ დატოვა, ძირითადად – საღომბარდე და სწრაფი სესხების მომსახურე კომპანიებმა.

GBC

სუსმა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის უფროსი სპეციალისტი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობის ფაქტზე ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის უფროსი სპეციალისტი გოჩა მ. სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გოჩა მ. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ცდილობდა დაერწმუნებინა წვევამდელი, რომ მისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას 400 ლარის სანაცვლოდ უზრუნველყოფდა წვევამდელის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის 6 თვით გადავადებას. გოჩა მ-მ აიღო მის მიერ მოთხოვნილი 400 ლარი, რა დროსაც იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის მე-19-180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

„კომიკური იყო, ერთ დღეში „ოცნება“ ზვიადისტებად რომ გადაიქცა“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

გამოვა იმისთვის, რომ დაიცვას მთავრობა. აქამდე თუ მუშაობდა სააკაშვილის ბუა, ახლა აღარ იმუშავებს.

– მაშინ რისი იმედი აქვს 2020-თვის ხელისუფლებას? რა სიურპრიზებს გვპირდებიან?

– როცა ადამიანი ხელისუფლებაშია 6-7 წელი და გაბრუებულია ამ ნარკოტიკით, რომელსაც ჰქვია ძალაუფლება და იოლი ფული, კორუფციით ნაშოვნი ფული, ის უკვე ვეღარ აზროვნებს რაციონალურად და ასეთ კითხვებს არ სვამს საერთოდ, როგორსაც ჩვენ ვსვამთ. აი, ეს არის პრობლემა. საღად ვერ აანალიზებენ შექმნილ სიტუაციას.

– თქვენ რეგულაციებთან დაკავშირებით თბილისის მერი ახსენეთ, რომელიც შედარებით მეტი სიმპათიით სარგებლობს. მასაც დაატყდება საზოგადოების რისხვა?

– თბილისის დაშინება და დამორჩილება ყველაზე რთულია. შესაბამისად, თუ პრობლემები გაჩნდება ქვეყანაში, პირველ რიგში, ბუნებრივია, თბილისში გაჩნდება. თავის დროზე სააკაშვილს ჰქონდა პრობლემები სწორედ თბილისში. კალაძე ვინ არის, რომ თბილისი ასე მარტივად დაიმორჩილოს და დააშინოს?!

– მაშინ სადამდე მიგვიყვანს საზოგადოების ასე მარწუხებში მოქცევა, იქნება სერიოზული აქციები 2020-მდე?

– იქნება. ყველა ხელისუფლებას აქვს თავისი ვადა. 8 წელი არის მაქსიმუმი.

– ვის მოიაზრებთ ამ ხელისუფლების შემცვლელად?

– რთული სათქმელია. ამ ქვეყნისთვის იდეალური იქნება კოალიციური მთავრობა.

– თავადვე ქმნის ივანიშვილი ძალას, ვინც „ოცნებას“ ჩაანაცვლებსო. მაღრაძის გარშემო შემოკრებილ საზოგადოებას ივანიშვილის სატელიტად მოიხსენიებენ. თქვენ რას იტყვით ამაზე?

– მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს ყველაფერი ივანიშვილთან შეთანხმებული და ჩაწყობილია. თუმცა ამ ხალხს იმედი აქვს, რომ ამ ცალკე გასვლით და დამოუკიდებელი პარტიის შექმნით, ივანიშვილის ყურადღებას მიიქცევენ და გავლენას დაიბრუნებენ.

– ანუ ეს ყველაფერი ივანიშვილის ყურადღების მისაქცევად კეთდება?

– კი, აბა სხვას ვის სჭირდება ეს ადამიანები?! დათო მაღრაძე, როგორც პოლიტიკური ფიგურა და მრჩეველი, ვის სჭირდება? ახლა გაჩნდა და ისიც ივანიშვილის წყალობით.

– ანუ ივანიშვილი უნდათ მფარველად და დამფინანსებლად?

– კი, ასე უნდათ, ოღონდ უნდათ უფრო კარგი ივანიშვილი, ისეთი, რომელიც მათ უფრო დაუჯერებს.

– რამდენად საინტერესო 2020 გველოდება?

– სამწუხაროდ, ძალიან საინტერესო და ცოტა დაძაბულიც. იმედი მაქვს, რომ ხელისუფლების გადაბარება მშვიდობიანი გზით მოხდება. ჩვენი საზოგადოება უკვე გაზრდილია და მომწიფებულია იმისთვის, რომ არ დაუშვას არეულობა.

იმედი მაქვს, მმართველ გუნდშიც გამოჩნდებიან ისეთები, ვინც მიხვდება, რომ საჭიროა ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაბარება. სხვა თუ არაფერი, ეს მათთვისაც უკეთესია.

ძალიან პროტესტიანი ზაფხული და ცხელი შემოდგომა გველოდება. ამდენი ტაქსის მძღოლი რომ ივნისიდან უმუშევარი დარჩება, ეს ასე მარტივად არ გადაივლის.

რატომ დაიხია უკან სააკაშვილმა გამსახურდიას მკვლელობის გამოძიების დროს

ტარიელ ფუტკარაძე: „მას საკუთარი გარემოცვა დაუპირისპირდა“

გულიკო ბალაძე

რატომ არ გამოიძია მიხეილ სააკაშვილმა ზვიად გამსახურდიას მკვლელობა? დღევანდელ ვითარებაში შესაძლებელია თუ არა ამ საქმის გამოძიება? – ამ კითხვებს პასუხობს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, პროფესორი **ტარიელ ფუტკარაძე**, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მიერ 2004 წელს შექმნილი სახელმწიფო კომისიის წევრი იყო.

– ბატონო ტარიელ, რატომ არ გამოიძია წინა ხელისუფლებამ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა? როგორც ვიცი, სახელმწიფო კომისია შეიქმნა, რომლის წევრი თქვენც იყავით.

– კანონიერი ხელისუფლებისა და „მრგვალი მაგიდის“ სახელით 2004 წლის 5 იანვარს, სააკაშვილს პრეზიდენტად არჩევის მეორე დღესვე შევხვდი მისი ინიციატივით (მაშინ „მრგვალი მაგიდა“ აქციებს მართავდა). ჩემი მოთხოვნა იყო ზვიად გამსახურდიას მკვლელობისა და პუტჩის გამოძიება.

სააკაშვილი ამას დიდი სიხარულით დაეთანხმა. მას ბრძანების ტექსტიც კი გადავეცი. შესაბამისად, პუტჩის გარემოებების შესწავლა და პრეზიდენტ გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება იყო ჩვენი ერთობლივი შეთანხმება. კომისიაში მან თავისი სანდო ხალხი შეიყვანა: ოქრუაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი. „მრგვალი მაგიდიდან“ შევედით სამი ადამიანი, ერთი იყო საპატრიარქოს წარმომადგენელი.

მიხეილ სააკაშვილს სურდა ამ მკვლელობის გამოძიება. დაიწყო კიდეც აქტიური მუშაობა. კომისია შეიქმნა პროკურატურაშიც, მაგრამ, როგორც კი საქმე მიდგა ზვიად გამსახურდიას მკვლელობისა და პუტჩის რეალურ გამოძიებაზე, საქმე გაჩერდა.

– რატომ გაჩერდა?

– ან სააკაშვილმა კარგად გააცნობიერა, ამ საქმის გამოძიება რას ნიშნავდა, ან უთხრეს და გაჩერდა.

– თავიდან არ ჰქონდა გაცნობიერებული, რომ გამოძიების რაღაც ეტაპზე შეიძლებოდა, ვთქვათ, იმავე შევარდნაძეს მისდგომოდნენ?

– შევარდნაძის თემა ერთია. მეორეა სააკაშვილის გარემოცვის თემა. ვფიქრობ, სააკაშვილს უნდოდა გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება, მაგრამ შემდეგ გარეშე ფაქტორებსაც დაეჯახა და სააკაშვილის გარემოცვაშიც გააქტიურდნენ.

– გარემოცვაში ვის გულისხმობთ?

– ყველას, ვინც მაშინ იყო სააკაშვილის გარშემო. ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2004 წელს, სააკაშვილის გარშემო იყო მოქალაქეთა კავშირი, რესპუბლიკური პარტია და ბევრი სხვა.

– ისინი ამ გამოძიების წინააღმდეგი იყვნენ?

– ვინც გამსახურდიას დამხობაში მიიღო მონაწილეობა, შემდეგ ისინი ტრანსფორმირდნენ მოქალაქეთა კავშირში. მოქალაქეთა კავშირის ნახევარი შემდეგ ტრანსფორმირდა ნაცმოძრაობაში, ანუ რეალურად, 2004 წელსაც იმ ხალხის ნახევარი, ვინც დაამხო ზვიად გამსახურდია, სააკაშვილის გარემოცვას წარმოადგენდა.

შეგიძლიათ ნახოთ, ვინ იყო მიშას გარემოცვა და მიხვდებით. ეს გამოძიება ხელს არ აძლევდა ყველა იმ პირს, ვინც იყო სააკაშვილის გარემოცვაში, დაწყებული ნინო ბურჯანაძით. ალბათ, სააკაშვილს თავისი გარემოცვა დაუპირისპირდა. ჟვანიაც იქ იყო.

სააკაშვილს პრობლემები დასავლეთშიც შეექმნებოდა. ბუშისა და გორბაჩოვის მალტის შეთანხმებით, შევარდნაძეს გარკვეული გარანტიები ჰქონდა. ამიტომ ჩამოიყვანეს შევარდნაძე საქართველოში. კომისიის მუშაობა რომ გაჩერდა, ადეიშვილთან შევედი და გამოძიების გაგრძელება მოვითხოვე, ირონიულად მითხრა, მადლობას გეტყვით, შევარდნაძეს თუ დაგვაჭერინებო.

შევარდნაძის დაჭერის თემა, ადეიშვილს, რა თქმა უნდა, გააზრებული ჰქონდა. რეალურად, სააკაშვილმა უკან დაიხია, მისივე დაწყებული საქმე ბოლომდე არ მიიყვანა.

– ბურჯანაძეც სახელმწიფო გადატრიალების ფერხულში იყო და გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებას ეწინააღმდეგებოდა?

– მოქკავშირი იყო ის პარტია, რომელიც აღმოცენდა პუტჩისტების ველიდან. ერთ-ერთი აქტიური მოქკავშირში იყო შედარებით ახალგაზრდა თაობა. ძველი, კომუნისტური, გავლენიანი საზოგადოების ნაწილი იყო ბურჯანაძეც. მის მამასა და სხვებთან ერთად. ეს ის ხალხია, რომელმაც დაამხო ზვიად გამსახურდია რუსეთთან ალიანსში.

მოქკავშირი არის ყველაზე ღია პუტჩისტური ჯგუფი, რომელიც ტრანსფორმირდა ნაცმოძრაობად. შემდეგ მისი ნაწილიც ტრანსფორმირდა. მისი ფრაგმენტები „ქართულ ოცნებაშიც“ არის.

– თქვენ წერთ, რომ გამოძიების მიერ იმ მცირე პერიოდში მნიშვნელოვანი დოკუმენტები მაინც იქნა მოპოვებული, საიდანაც უკვე ჩანდა, რომ ზვიად გამსახურდია მოკლული იყო. რა დოკუმენტებია ეს?

– ყველა ჩვენების მიხედვით, ზვიად გამსახურდიამ ჯერ თავი მოიკლა, შემდეგ მშვიდად დაიდო პისტოლეტი მკერდზე. ყველა ამბობდა, ზვიად გამსახურდიას პისტოლეტი მკერდზე ედოო.

კაცი, რომელიც თავს მოიკლავს მძიმე პისტოლეტით, ნებისმიერ შემთხვევაში თავის თავს თუ ესვრის, ტყვიას თავში თუ დაიხლის, ბუნებრივია, პისტოლეტი ხელიდან უვარდება. ზვიად გამსახურდიამ თურმე ჯერ თავში ისროლა და მერე მძიმე პისტოლეტი მკერდზე დაიდო.

მეორე მომენტი ასეთი იყო – თვითმხილველების აღწერით, სროლის ხმა რომ გაიგონეს, ავიდნენ, სადაც ნახეს სისხლის გუბე. თუ კაცმა პისტოლეტი გაისროლა (დავუშვათ, თავის თავს ესროლა), ბალიშიდან, ლეიბიდან როგორ ჩავიდა იმდენი სისხლი იატაკზე, რეალურად, ერთ წამში? ჩვენს ხელთ არსებული დაკითხვის ოქმები იყო წინააღმდეგობრივი, ურთიერთგამომრიცხავი, არალოგიკური.

ჩვენ ღურწკაიების სახლიდან ჩამოვატანინეთ საწოლის თავი. ეს არის ჩვეულებრივი იაფფასიანი საწოლი, რომლის თავი დამზადებულია დიქტის (ნახერხით რომ კეთდება) მასალით. საწოლის თავზე ოდნავ დანის წვერით რომ ამოაგდო, ისე ჩანდა ნატყვიარი. იმ დიქტზე ფრჩხილისხელა მოცულობის ადგილი იყო ამოგდებული, თითქოს ნატყვიარი გახლდათ.

როგორ შეიძლება, პირდაპირ მოხვედრილმა ტყვიამ ამოაგდოს ფრჩხილისხელა ადგილი და ტყვია გაქრეს? ამ ნახერხით გაკეთებულ დიქტში (საწოლის თავში) ტყვია მეორე მხარეს გასული არ იყო, არც შიგ იყო დარჩენილი. თურმე ტყვია ხის საწოლის თავს მოხვდა და გაქრა, არც შიგ არის, არც – ძირს.

ტყვია რკინას რომ მოხვედროდა, გადმოვარდებოდა, მაგრამ ხის ნახერხისგან დამზადებულ დიქტის თავს რომ მოხვდებოდა, ხეში უნდა გაჩერებულიყო. ტყვია იქ არ გაჩერდა, რადგან გარკვეული ფაქტორების გამო, შეუძლებელია, ადამიანმა ზევიდან ქვემოთ ისროლოს თავში. ასევე უამრავი სხვა ფაქტი იყო, რომლებიც გამოძიების მასალებში ინახება.

– გამსახურდიას მკვლელობის ადგილს ტელევიზიით რომ აჩვენებენ, საწოლიც და მისი თავიც იქ ჩანს. ახლა ბიძინა ივანიშვილი რომ იყო ჩასული, მაშინაც აჩვენეს. თუ ძველი კადრები არ არის, სწორედ იმ საწოლის თავი ჩანს, რომელზეც თქვენ ახლა საუბრობთ.

– საწოლის თავი თბილისში ჩამოიტანეს. შემდეგ უკან თუ ჩაიტანეს, არ ვიცი. საწოლის თავი საქართველოს პროკურატურის შენობაში ჰქონდათ, როგორც დოკუმენტური მასალა. ჩემი თვალით მაქვს ნანახი.

– ეს ხომ ნივთმტკიცება იყო, უკან რატომ უნდა ჩაეტანათ. სხვა ნივთმტკიცებები იყო კიდევ ჩამოტანილი?

– ნივთმტკიცება რაც მე ვნახე, მხოლოდ ეგ იყო. ტანსაცმელი გარეცხეს, იარაღი გააქრეს. იმდენად თეთრი ძაფით ნაკერი საქმე იყო, რომ გამსახურდია უეჭველად მოკლული გახლდათ. რაც მთავარია, ყველა აღწერით, ნატყვიარი, რომელიც შესული იყო თავის ქალაში, იმავე დონით იყო გამოსული, ხოლო იმ პისტოლეტით, რომლითაც თითქოსდა განხორციელდა თვითმკვლელობა (შემავალი ნატყვიარი და გამომავალი ნატყვიარი, გამორიცხულია, ტოლი იყოს), თავის ქალაზე არსებული ჭრილობა უფრო გეკოს ტყვიით მიყენებულს ჰგავდა. ასევე ბევრი სხვა ფაქტორია.

მე ვფიქრობ, გამსახურდია აწამეს. როდესაც ექსპერტიზის დასკვნა გამოქვეყნდა, იქ აღნიშნული იყო, რომ ბოქვენის ძვალი დამტვრეული ჰქონდა. ბევრი სხვა გარემოება ჩანდა – დროში ცდომილებები აშკარა იყო. ჯონსონ კვარაცხელიასა და ღურწკაიას სახლამდე მისვლისთვის იმდენი დრო არ არის საჭირო, რომელიც მათ თითქოსდა მოანდომეს. ყველა ფაქტორი იმაზე მეტყველებს, რომ ზვიად გამსახურდია წამებითაა მოკლული და არა – ტყვიით.

– გარდაცვლილს ესროლეს?

– დიახ, მე ასე ვფიქრობ. ზვიად გამსახურდია ჯერ წამებით მოკლეს. ამ მკვლელობის გამოძიებისთვის ოქრუაშვილმა პროკურატურაში ორმხრივი კომისია შექმნა. შემდეგ ის კომისია ადეიშვილის დროს გადახალისდა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, როდესაც დასრულდა გამოძიების პირველი ეტაპი, შემდეგ გამოძიება მიდიოდა იმაზე, პუტჩისტებმა რომ აღძრეს საქმე გამსახურდიაზე ქონების დატაცების მუხლით. განცხადება დაწერილი იყო ვინმე ლაბარტყავას სახელით.

ჩვენ ლაბარტყავას განცხადება მოვიკითხეთ, მაგრამ ბუნებაში არ არსებობს. მასალებში არ ჩანს, რა განცხადება იყო. გამოძიებამ ლაბარტყავა მოიძია, რომელიც ამბობს, რომ არავითარი განცხადება მას არასოდეს დაუწერია. რეალურად, ეს იყო შეთითხნილი საქმე ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ.

მოვითხოვეთ, ვინც საქმე შეთითხნა, მათ წინააღმდეგ გამოძიება დაწყებულიყო. მეორე ეტაპი იყო სახელმწიფო გადატრიალების ფაქტის გამოძიება, რადგან გამსახურდიას მკვლელობა შემთხვევით არ მომხდარა. ეს არ იყო ერთი კაცის სიკვდილი, ეს იყო პრეზიდენტის სიკვდილი, რომელიც მოჰყვა პუტჩს.

პუტჩის გამოძიების გარეშე ვერც სააკაშვილი და ვერც ივანიშვილი გამსახურდიას მკვლელობის გამოძიების საკითხში შედეგს ვერ მიიღებს, გამსახურდიას მკვლელობის რეალურ სურათს ვერ შექმნის. ეს შანსი ხელიდან გაუშვა სააკაშვილმა და თავისი თავი დაიღუპა. თუ გამსახურდიას მკვლელობა ახლა მაინც იქნება გამოძიებული, ქვეყანა ძალიან სწრაფად წავა წინ. პუტჩის გამოძიება ხელს შეუწყობს პოლიტიკური სპექტრის გაწმენდას.

– წერთ, გამსახურდიას გულუას რაზმი მისდევდაო. სხვები ამბობენ, არა მარტო გულუას რაზმი მისდევდა გამსახურდიას მოსაკლავადო.

– რამდენიმე ჯგუფი დასდევდა.

– გამსახურდიას მკვლელები ვინ არიან? გამოძიების პროცესში ვინ გამოჩნდნენ?

– ყველაზე ახლოს, კვალში ჩამდგარი იყო გია გულუას რაზმი. ამ გვარს მე შემთხვევით არ ვამბობ.

– ანუ გამოძიებას ამის მტკიცებულებებიც აქვს?

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ეკონომიკა

ევროპის ქვეყნები, სადაც ხილსა და ბოსტნეულს ყველაზე დიდი რაოდენობით მოიხმარენ

ევროპელების 27% ხილსა და ბოსტნეულს დღეში ორჯერ მოიხმარს. ასეთია ევროსტატის 2017 წლის მონაცემები, რომელიც გამოცემა „ევროპულმა სიმართლემ“ გამოაქვეყნა. ამავე სტატისტიკით, აღნიშნული პროდუქტებით დღეში ერთხელ იკვებებოდა ევროპელების 37%, ხოლო დარჩენილი 36% ხილსა და ბოსტნეულს კვირაში მხოლოდ ერთხელ მოიხმარდა.

ევროსტატის სტატისტიკით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ხილის წლიური მოხმარებით იტალია ლიდერობდა, სადაც პროდუქტს მოსახლეობის 85% მიირთმევდა. შემდეგ პოზიციაზეა პორტუგალია, სადაც ხილით მოსახლეობის 81% იკვებებოდა. შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვთ ევროკავშირის 3 ქვეყანას. კერძოდ, ხილს ლატვიის მოსახლეობის 40 %-ზე ნაკლები მოიხმარდა (დაახლოებით, 35%), ბულგარეთისა და ლიეტუვას მოსახლეობის კი – 37%.

რაც შეეხება ბოსტნეულის მოხმარებას, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ირლანდიასა და ბელგიას პროდუქტის მოხმარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ. კერძოდ, ბოსტნეულს დღეში მინიმუმ ერთხელ აღნიშნული ქვეყნების მოსახლეობის 84% მოიხმარდა.

თუმცა, ევროკავშირის წევრ 5 ქვეყანაში ბოსტნეულის მოხმარების წილი 50%-ზე ნაკლები იყო. საუბარია: უნგრეთზე (30%), რუმინეთზე (41%), ლატვიაზე (44%), ლიეტუვასა და ბულგარეთზე (45%).

კვების ობიექტები თბილისის ცენტრში, სადაც კრიტიკული შეუსაბამობა დაფიქსირდა

თბილისის ცენტრალურ უბნებსა და ტურისტებისთვის მიმზიდველ ადგილებში განთავსებული 51 კვების ობიექტიდან 12-ში კრიტიკული შეუსაბამობა დაფიქსირდა.

ამის შესახებ ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, თბილისისა და რეგიონული სამსახურების ინსპექტირების ჯგუფებმა, 18 სპეციალისტის შემადგენლობით, გასულ კვირას, თბილისის ცენტრალურ უბნებსა და ტურისტებისთვის განსაკუთრებულად მიმზიდველ ადგილებში განთავსებული კვების ობიექტები შეამოწმა.

სახელმწიფო კონტროლი 51 ობიექტში განხორციელდა მათგან კრიტიკული შეუსაბამობა 12 ობიექტში დაფიქსირდა. მათი ცნობით, სააგენტოს მიერ განხორციელებული აქტიური შემოწმებებისა და ბიზნესოპერატორებთან ჩატარებული აქტიური სარეკომენდაციო სამუშაოების შედეგად ვითარება მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული.

– აღსანიშნავია, რომ უამრავ ობიექტში, სადაც შარშან შეუსაბამობები დავაფიქსირეთ, ვითარება დღეს რადიკალურად არის შეცვლილი უკეთესობისკენ. დღეისათვის, ტურისტებისთვის განსაკუთრებულად მიმზიდველ ადგილებში უამრავი ობიექტია, რომელიც სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, – განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის უფროსმა ვასილ ბასილაძემ.

ცნობისთვის, კრიტიკული შეუსაბამობა არის შეუსაბამობა, რომელიც მაღალ რისკს უქმნის ადამიანისა და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რომელიც არის კონკრეტული საწარმოო პროცესის დროებითი შეჩერების საფუძველი ასეთი სახის შეუსაბამობის აღმოფხვრამდე.

კახა კალაძე: „ჭავჭავაძის №5-ში სამშენებლო სამუშაოები ყველანაირი თვალსაზრისით გამართული იყო“

– ჩემი ინფორმაციით, მუნიციპალური ინსპექციის შედეგად დადგინდა, რომ მშენებელ კომპანიას დოკუმენტურად ყველაფერი წესრიგში ჰქონდა, – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

თბილისის მერი გამოეხმაურა ჭავჭავაძის გამზირზე მომხდარ ტრაგედიას და ინფორმაციას, რომ სამშენებლო პროცესი უსაფრთხოების ნორმების დარღვევით მიმდინარეობდა და კუსტარულად დამზადებული მანქანა-დანადგარები გამოიყენებოდა.

– ყველანაირი თვალსაზრისით გამართული იყო სამშენებლო სამუშაოები. დეტალებზე გამიჭირდება საუბარი. ალბათ, შესაბამისი სამსახურები უახლოეს პერიოდში დაადგენენ, თუ რა მოხდა და რასთან გვაქვს საქმე. რაც შეეხება მშენებელ კომპანიას, ჩემი ინფორმაციით, მუნიციპალური ინსპექციის შედეგად, როდესაც განხორციელდა ინსპექტირება და შემოწმება, დოკუმენტურად ყველაფერი წესრიგში ჰქონდათ, – აღნიშნა კახა კალაძემ.

შეგახსენებთ, რომ ჭავჭავაძის გამზირზე, №5-ში მდებარე სამშენებლო ობიექტზე მიწის ჩამოშლას ორი დღის წინ ორი ახალგაზრდა მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა.

„ანას იმ მომენტში გონება დაკარგული ჰქონდა... დავითმა დაუმტვრია ტელეფონი“

ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის დავით ბაგრატიონ-მუხრანელის მიერ მიყენებული დაზიანებები სახეზე აღენიშნებოდა. მან ანას დაუმტვრია ტელეფონი და საშუალება არ მისცა, რომ სადმე დაერეკა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის ადვოკატმა ლევან გორელიშვილმა განუცხადა.

ლევან გორელიშვილმა სამეფო წყვილს შორის რამდენიმე წლის წინ მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების დეტალებზე ისაუბრა, ამასთან აღნიშნა, რომ ფიზიკური ზიანის მიყენების შემდეგ დავითმა ანას თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა. გარდა ამისა, გორელიშვილის თქმით, დაპირისპირებების მიუხედავად, სამეფო წყვილი მაინც ერთად ცხოვრობდა, 2016 წელს კი განქორწინდა.

– როგორც ჩემთვის ცნობილია, ძალადობის შემდგომ, რასაც მეფე აკეთებს, არის ის, რომ დავითი უკავშირდება თავის ერთ-ერთ მეგობარს და აფთიაქიდან მედიკამენტების წამოღებას სთხოვს. შემდგომ ელოდება, რომ იმოქმედოს ამ მედიკამენტებმა. ანას ეს დაზიანებები სახეზე აღენიშნებოდა. მან დაუმტვრია ტელეფონი ანას და საშუალება არ მისცა, რომ სადმე დაერეკა. დავითმა ანას თავისი ტელეფონით დაარეკინა თავის მძღოლთან და სთხოვა, რომ იმ დღეს არ გამოევლო და ორი დღის შემდგომ გამოევლო, ამასთან, საშუალებას არ აძლევდა, რომ საგურამო დაეტოვებინა.

გარდა ამისა, ანას დაარეკვინა დედასთან, რომელსაც უთხრა, რომ ის საგურამოდან 2 დღის განმავლობაში ვერ დაბრუნდებოდა. წყვილი 2014 წელს ერთად ცხოვრობდა, – განაცხადა გორელიშვილმა.

ადვოკატის განმარტებით, სამეფო წყვილს შორის მომხდარ ფიზიკურ დაპირისპირებაზე საგამოძიებო უწყებაში მოწმის სახით გამოკითხვაზე თავადაც არის დაბარებული, თუმცა გამოკითხვის თარიღი მისთვის ჯერჯერობით უცნობია.

– ძალადობის ფაქტს მე პირადად არ შევსწრებივარ, ისევე, როგორც დავითის, ანას და მცირეწლოვანი ბავშვის გარდა, არავინ შესწრებია. იმ პერიოდში ანას საერთოდ არ ვიცნობდი, თუმცა ვიცნობ ადამიანს, რომელიც ამბობს, რომ საგურამოდან ანა წამოიყვანა. ეს არის მძღოლი დავით ვასაძე. ვასაძე გამოკითხული არ არის, თუმცა იგეგმება მისი გამოკითხვა, – განაცხადა გორელიშვილმა.

სამოქალაქო დავის ფარგლებში უკვე გამოიკითხნენ მებაღე, დამხმარე ქალი და ოჯახის მეგობარი.

ყველა მათგანმა გამოძიებას ერთმანეთისგან განსხვავებული ჩვენება მისცა.

– ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი მათგანი პასუხისგებაში აუცილებლადაა მისაცემი იმიტომ, რომ ის სამი ინფორმაცია, რომელიც მათ ერთდროულად გააჟღერეს, წარმოუდგენელია, სიმართლე იყოს.

მებაღე ამბობს, რომ ანა საგურამოში ნანახი ჰყავს. ოჯახის მეგობარი ამბობს, რომ ანას საგურამოში ფეხი არასდროს დაუდგამს (ეს ესპანელი პიროვნებაა და თარჯიმანმა მისი სიტყვები ასე თარგმნა), ხოლო დამლაგებელი ქალბატონი ამბობს, რომ ანას საგურამოში არასდროს უცხოვრია და განმარტავს, რომ ანა პირველად მას შემდეგ ნახა, რაც ტელევიზიაში სიუჟეტი გავიდა.

ვფიქრობ, რომ მოწმეები მიზანმიმართულად გაფრთხილებულები იყვნენ იმის შესახებ, თუ რა ჩვენება უნდა მიეცათ, – განაცხადა გორელიშვილმა.

რაც შეეხება დავით ბაგრატიონ-მუხრანელის ადვოკატ ლევან ჩხეიძის განცხადებას, რომ ექსპერტიზის დასკვნა ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის შესაძლო ძალადობის ფაქტზე, სავარაუდოდ, მიკერძოებულია, ლევან გორელიშვილის თქმით, ეს სერიოზული ბრალდებაა, რასაც პასუხს ალბათ თავად ექსპერტიზის ბიურო გასცემს.

– სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემულ დასკვნაში წერია, რომ ანას სხეულზე აქვს მრავალი სისხლჩაქცევა, რომელიც მიყენებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის ზემოქმედებით. რა საგნით მიაყენა დავითმა ანას დაზიანებები, კონკრეტულად ეს ჩემთვის ცნობილი არ არის. რამდენადაც ვიცი, ანა იმ მომენტში თითქმის გონებადაკარგულ მდგომარეობაში იყო, – განაცხადა ლევან გორელიშვილმა.

❖ ❖ ❖

თავად ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის განცხადებით, მისი მიზანი არ არის, სამართლებრივად პასუხი აგოს მისმა ყოფილმა მეუღლე დავით ბაგრატიონ-მუხრანელმა.

გუშინ, 2 აპრილს, თბილისის მთავარ სამმართველოში გამოკითხვის დასრულების შემდეგ მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი მიზანი სიმართლის დამტკიცებაა, თუმცა, რას გულისხმობს ეს სიმართლე, ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი არ აკონკრეტებს.

პოლიციის სამმართველოში დეტალურის გამოკითხვა მიმდინარეობდა, რომელიც არ დასრულებულა და უნდა გაგრძელდეს, თუმცა როდის, მისთვის უცნობია. ამასთან, ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი გამოკითხვის დეტალებზე ვერ ისაუბრებს.

– ჩემი მიზანი არ არის, გასამართლდეს დავით ბაგრატიონ-მუხრანელი. სამხარაულის სამედიცინო ექსპერტიზის დოკუმენტი, უბრალოდ, ერთ-ერთ საქმეში იყო ჩადებული და შემდეგ რაღაც სიტუაციამ ამოატივტივა. ჩემი მიზანი სიმართლის დამტკიცებაა, – განაცხადა ანა ბაგრატიონ-გრუზინსკიმ.

ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში გამომძიებლების შეკითხვებს დაახლოებით 5 საათის განმავლობაში პასუხობდა.

„მილანის სასტუმროში იზა კი არა, 27 წლის ანი იპოვეს გარდაცვლილი. იზას გვარი ნახსენები არ არის“

31 მარტის დილას მილანში 27 წლის ქართველი ვოკალისტი იზა ქავთარაძე გარდაცვლილი იპოვეს. გოგონა საქართველოში ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში სწავლობდა, სექტემბერში კი სწავლის გასაგრძელებლად იტალიაში გაემგზავრა.

იზა ქავთარაძე ახლახან მილანის კონსერვატორიაში უგამოცდოდ ჩაირიცხა. მისი გარდაცვალების მიზეზებს ექსპერტიზა დაადგენს, მანამდე კი იტალიური პრესა აქვეყნებს სტატიას სათაურით – „ჰეროინის კიდევ ერთი მსხვერპლი“.

სტატიაში საუბარია იმაზე, რომ შაბათს, დაახლოებით საღამოს 10 საათისთვის, მილანში, მაური მაკის ქუჩაზე მდებარე სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში ახალგაზრდა ქართველი გოგონას ცხედარი აღმოაჩინეს.

სასტუმრო ცენტრალური სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს. შენობის ოთახში, სადაც ახალგაზრდა ქართველი ქერა გოგონა გარდაცვლილი იპოვეს, ერთჯერადი შპრიცები, შავი კოვზი და გაცხელებული ჰეროინიც აღმოაჩინეს.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ქართველი გოგონას გარდაცვალების სავარაუდო მიზეზად ნარკოტიკების ზედოზირება სახელდება, რასაც იზას ოჯახის წევრები გამორიცხავენ.

ია შალიკაშვილი, იზას მამიდა:

– იზა ძალიან კეთილშობილი, ნიჭიერი, შრომისმოყვარე და თბილი გოგონა იყო. თბილისის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ სექტემბერში სტუდენტური ვიზით მილანში წავიდა სწავლის გასაგრძელებლად.

თავდაპირველად სამუსიკო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ კი მილანის კონსერვატორიაში შეიტანა საბუთები. როდესაც მისი მონაცემები უნახავთ, ახლახან უგამოცდოდ ჩაურიცხავთ კონსერვატორიაში.

ვინაიდან იზას ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა, სწავლისთვის საჭირო ფულის გამომუშავებაზე იზამ თავად იზრუნა და ერთ სოლიდურ ოჯახში ბავშვის ძიძად დაიწყო მუშაობა.

რაღაც საშინელება გავრცელდა იზაზე, თითქოს ნარკოტიკი გახდა მისი გარდაცვალების მიზეზი, რაც სისულელეა და წარმოუდგენელი. ასეთი რომ ყოფილიყო, რომელი ოჯახი ანდობდა ასეთს თავის შვილს მოსავლელად?

გარდაცვალების წინა ღამით, ანუ გუშინწინ, იზამ მშობლებს ვიდეოჩანაწერი გამოუგზავნა, სადაც აღფრთოვანებული ჰყვებოდა, როგორი კმაყოფილი და ბედნიერი იყო, ფედერიკა ფაბის ოჯახსაც, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა, სიყვარულით მოიხსენიებდა, ამბობდა, რომ საჩუქრებით ანებივრებდნენ და ისე შეაყვარა თავი, მაისში ყველანი ერთად აპირებდნენ ჩამოსვლას საქართველოში. ეს ჩანაწერი იზამ გვიან ღამით გამოგზავნა, დილით კი, დაახლოებით 10 საათზე, მასთან ოთახში ბავშვის დედა, ფედერიკა შესულა და იზა პირველს მას უნახავს თითქმის გარდაცვლილი.

ჩვენ გუშინვე დავუკავშირდით ამ ქალბატონს, რათა გაგვერკვია, რა და როგორ მოხდა. იზას საშინლად გლოვობს ის ქალბატონი და მთელი ოჯახი. გვითხრა, რომ მან ნახა პირველმა. მერე, როცა პრესას გავეცანით, კიდევ ვესაუბრეთ და გვითხრა, რომ მის ოთახში მსგავსი არაფერი – არც ჰეროინი და არც შპრიცები არ უნახავს.

სტატიაში ნახსენები იყო სასტუმრო, სადაც გარდაცვლილი გოგონა იპოვეს. ამ ინფორმაციით შეწუხებულები და გაოგნებულები მილანს კვლავ დავუკავშირდით და აღმოჩნდა, რომ სასტუმროში ნაპოვნი ის გარდაცვლილი, ვისზეც პრესა წერს, არის 27 წლის ვინმე ანი. იზას გვარსახელი ამ სტატიაში არსადაა ნახსენები, გვითხრეს, სხვა გოგონაზეა საუბარიო.

ექსპერტიზა და გამოძიება დაადგენს ალბათ, რა და როგორ მოხდა, მანამდე კი ვერსიებისგან თავს შევიკავებ, არც გვაქვს რაიმე ვერსია... გაოგნებულები ვართ ჯერ იზას გარდაცვალებით და ახლა იმ ჭორებით, რაც მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ვრცელდება.

კვირის პალიტრა

ხელვაჩაურის გამგეობის თანამშრომელი დააკავეს

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელი დააკავა.

– ხელვაჩაურის მერიის თანამშრომლის დაკავება ერთ-ერთ ინფრაქტრუქტურულ პროექტს უკავშირდება.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ხელვაჩაურის მერიის პრესსამსახურში განუცხადეს.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

ტარიელ ონიანი 9 აპრილს ციხიდან გამოდის

ის, შესაძლოა, საქართველოში გამოაძევონ

რუსული მედიის ინფორმაციით, 9 აპრილს ყველაზე გავლენიანი კანონიერი ქურდი ტარიელ ონიანი (ტარო) საპატიმროს დატოვებს.

ტარო 2010 წლის ივლისში მოსკოვის სასამართლომ გატაცებისა და გამოძალვის ბრალდებით, დამნაშავედ სცნო და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ონიანი უკვე დიდი ხანია გამოცხადებულია ესპანეთის მიერ ძებნილად ფულის გათეთრებისა და კრიმინალური საზოგადოების ორგანიზებისთვის, რისთვისაც რუსეთის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, ესპანეთში გადაყვანა ემუქრება. თუმცა, წყაროები ამბობენ, რომ ტაროს დეპორტაციის ადგილად საქართველო სახელდება.

არავინ უარყოფს იმას, რომ გავლენიანი კრიმინალური ავტორიტეტის გათავისუფლების შემდეგ მისი პოზიციები ძველებურად გამყარდება და დაიწყება დიდი ბრძოლა პირველობისთვის, რაც ბევრი ახალი დაპირისპირების მიზეზი გახდება.

თელავში მშენებარე კედელი ჩამოინგრა

3 მუშა დაშავდა

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ართანაში, მშენებარე კედელი ჩამოინგრა და შედეგად 3 მუშა დაშავდა.

სამივე მათგანი ნანგრევებიდან ამოიყვანეს. ისინი კონტაქტურნი არიან.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამაშველო და სამედიცინო ეკიპაჟები.

თბილისი-რუსთავის გზაზე მანქანა ბორდიურზე ავარდა

3 ადამიანი დაშავდა

თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, თბილისი-რუსთავის გზატკეცილზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა. ერთ-ერთის ჯანმრთელობის მდგომარეობა შედარებით მძიმეა.

თვითმხილველების ინფორმაციით, თბილისი-რუსთავის გზაზე მოძრავი მსუბუქი ავტომანქანა ბორდიურზე ავარდა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლით დაიწყო.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

უკრაინა: გადამწყვეტი ბრძოლები წინაა

უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური დასრულდა. ვლადიმერ ზელენსკიმ 30,26% დააგროვა, მოქმედმა პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ კი – 16%. ამრიგად, შოუმენმა პირველი ტური დამაჯერებლად მოიგო. მიუხედავად ამისა, მოპოვებული ხმები საბოლოო გამარჯვებისთვის საკმარისი არაა. პეტრო პოროშენკო ფარხმალის დაყრას არ აპირებს. ყველაფერი გაირკვევა მეორე ტურში, რომელიც 21 აპრილს გაიმართება.

პოროშენკოცა და ზელენსკიც პროდასავლურ პოზიციებზე დგანან. ორივე უკრაინის ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის მომხრეა. პრორუსული ორიენტაციის ბოიკო კი მეორე ტურშიც ვერ მოხვდა. მოსკოვმა არჩევნების ჩაშლა ვერ შეძლო. პირიქით, ეუთომ განაცხადა, რომ უკრაინის პრეზიდენტის არჩევნებმა სათანადო დონეზე ჩაიარა. უკრაინულ არჩევნებს აშშ-ის კონგრესმაც მაღალი შეფასება მისცა.

ზელენსკის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, მისი სახით ქვეყანას ეყოლება სუსტი პრეზიდენტი, რომელსაც არ ჰყავს ძლიერი გუნდი, არც პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილება და გამოკვეთილი იდეოლოგია არ გააჩნია. პოროშენკოს გამარჯვების შემთხვევაში კი, მუდამ იქნება ეჭვები, არჩევნები გააყალბაო. ეს მას დამოკლეს მახვილივით თან გაჰყვება. ამრიგად, ვერც პოროშენკო და ვერც ზელენსკი ვერ იქნებიან ლიდერები, რომელთა გარშემოც ერი დაირაზმება.

ღირსების რევოლუციამ ოლიგარქების გავლენა შეარყია, თუმცა ის ნულამდე ვერ დავიდა. ოლიგარქები კვლავაც ყიდულობენ პარტიებს, პოლიტიკოსებს, გააჩნიათ საკუთარი ტელევიზიები, გაზეთები და ქვეყნის პოლიტიკურ კურსზეც გავლენას ახდენენ. დღეს უკრაინაში ხელისუფლებისთვის ახმეტოვის, პინჩუკის, მედვედჩუკის, კოლომოისკის კლანები იბრძვიან. საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური ამ ბრძოლის მხოლოდ პირველი რაუნდი იყო. მეორე ტური მეორე რაუნდი იქნება. მესამე და გადამწყვეტი კი საპარლამენტო არჩევნებია. უკრაინა საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, შესაბამისად, ხელისუფლებაში იქნებიან ძალები, რომელთაც პარლამენტში უმრავლესობა ექნებათ. გადამწყვეტი ბრძოლაც შემოდგომაზე, საპარლამენტო არჩევნებისას გაიმართება.

– ახალი პრეზიდენტის ნამდვილად არ მშურს! მას უმძიმესი პრობლემების გადაჭრა მოუწევს, – აცხადებს გენერალი სმეშკო.

ხუან გუაიდოს დეპუტატის იმუნიტეტს მოუხსნიან

ვენესუელის უზენაესმა სასამართლომ საკონსტიტუციო ასამბლეას მიმართა, ოპოზიციის ლიდერ ხუან გუაიდოს დეპუტატის იმუნიტეტი მოუხსნას.

ამის მიზეზად ვენესუელის უზენაესმა სასამართლომ ქვეყნის დატოვების აკრძალვის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების დარღვევა დაასახელა.

„საკონსტიტუციო ასამბლეის თავმჯდომარეს შუამდგომლობა გაეგზავნება, რომ ხუან გუაიდოს დეპუტატის იმუნიტეტი მოეხსნას სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის“, – ნათქვამია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

აქამდე ქვეყნის უზენაესმა სასამართლომ დროებით პრეზიდენტ ხუან გუაიდოს ქვეყნის დატოვება აუკრძალა. მიუხედავად ამისა, ხუან გუაიდომ 22 თებერვალს დატოვა ქვეყანა და რეგიონის ქვეყნებში ვიზიტით გაემგზავრა.

გარდა ამისა, 29 მარტს ვენესუელის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ოპოზიციის ლიდერ ხუან გუაიდოს 15 წლით აუკრძალოს სახელმწიფო თანამდებობების დაკავების უფლება.

პოლონეთში ჰარი პოტერზე შექმნილი წიგნები დაწვეს

პოლონეთის ქალაქ კოსალინში (პოლონეთის ჩრდილოეთი) კათოლიკე მღვდლებმა ჰარი პოტერზე შექმნილი წიგნები საჯაროდ დაწვეს.



– ეს წიგნები ღვთის გმობაა! – განაცხადეს მღვდლებმა.

ამ ვანდალიზმმა საზოგადოება აღაშფოთა. წიგნებს მხოლოდ ფანატიკოსები, ველურები ან ნაცისტები წვავდნენ, – ასეთი კომენტარები დომინირებს სოციალურ ქსელებში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბავშვის უზარმაზარ პითონთან თამაში ვიდეოზე მოხვდა

ინდონეზიელი ბავშვი ყოველგვარი შიშის გარეშე ეთამაშება უზარმაზარ პითონს. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა ტაბლოიდმა გამოაქვეყნა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ წევს უზარმაზარ პითონზე ყოველგვარი დამცავი სპეცტანსაცმლის გარეშე ფეხშიშველი ბიჭი და მასზე იდაყვებითაა დაყრდნობილი. ბავშვი ხელს სტაცებს გახოხებულ ქვეწარმავალს და მის უკან დაბრუნებას ცდილობს. ამ დროს კი გველი გაურკვეველი მიმართულებით გადაადგილებას აგრძელებს.

შეგახსენებთ, რომ პითონი შხამიანი ქვეწარმავალი არ არის. მისი სიგრძე შვიდ მეტრამდე აღწევს. ის ძუძუმწოვრებით, დიდი ხვლიკებით იკვებება და მსხვერპლს მთლიანად ყლაპავს.

აშშ მექსიკასთან საზღვრის დაცვას აძლიერებს

აშშ-ის შიდა უსაფრთხოების მინისტრმა ნილსენმა განაცხადა, რომ მექსიკის საზღვრის დაცვა გაძლიერდება.

– საზღვარზე დამატებითი ძალებია გადასროლილი, – ამბობს ნილსენი.

პარალელურად მექსიკელი მიგრანტების დაკავება და სამშობლოში დაბრუნებაც დაიწყო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბრიტანელი ქალი შვილის სუროგატი დედა გახდა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრი ქალბატონი თავისი უნაყოფო ქალიშვილისთვის სუროგატი დედა გახდა.

55 წლის ემა მაილსმა ჯერ კიდევ მაშინ გაიგო, რომ მისი ქალიშვილი ტრეისი სმიტი ვერ დაფეხმძიმდებოდა, როდესაც ის 15 წლის გახდა. ექიმების დასკვნით, გოგონას საშვილოსნო არ გააჩნდა, თუმცა ჰქონდა საკვერცხეები საშვილოსნოს მილები. ერთი წლის შემდეგ მას დაუდგინეს მაიერის სინდრომი – თანდაყოლილი გადახრა, რომლის დროსაც სასქესო ორგანოები არასრულფასოვნადაა განვითარებული.

– იმ დღიდან, როდესაც დიაგნოზის შესახებ შევიტყვე, დედა მპირდებოდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა ჩემ დასახმარებლად. ვიცოდი, რომ ის ერთხელაც ჩემ ბავშვს გააჩენდა, – განაცხადა ტრეისიმ. 2016 წელს გოგონა მამაკაცზე, სახელად ადამზე, დაინიშნა და სერიოზულად დაიწყო ფიქრი დედობაზე. მან დედას სთხოვა, მისი შვილის სუროგატი დედა გამხდარიყო. ხელოვნური განაყოფიერების ფარგლებში ქალს წონაში 38 კილოგრამის დაკლება და გარკვეული დროის განმავლობაში ჰორმონალური წამლების მიღება მოუხდა.

ექიმებმა წარმატებით გადაუნერგეს ემას საშვილოსნოში განაყოფიერებული კვერცხუჯრედი და შემდგომში საკეისრო კვეთის შედეგად მან გააჩინა გოგონა, რომელსაც ევი სიან ემა სმიტი დაარქვეს. გოგონა სრულიად ჯანმრთელი დაიბადა.

ამ დროისთვის ტრეისი და ადამი ჩვილი გოგონას შვილების პროცედურებით არიან დაკავებულნი.

აგრესიული ძროხა პატრონს თავს დაესხა

ინგლისის სურეის საგრაფოს სოფელ ბლეტჩინგლიში ფერმის მფლობელი აგრესიული ძროხის თავდასხმის შედეგად დაშავდა, რომელიც თავისი ხბოს დაცვას ცდილობდა.

სავარაუდოდ, ძროხის თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც ქალი ბოსელში შევიდა.

– როგორც ჩანს, ძროხას არ მოეწონა, რომ ფერმის პატრონი ბოსელში ხბოს გაჩენისთანავე შევიდა. ის ქალს თავს დაესხა, წააქცია და ჩლიქებით გათელვა დაუწყო. მითხრეს, რომ ის ძალიან არის დაშავებული, – განაცხადა დაშავებულის მეზობელმა.

შემთხვევის ადგილზე გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადა მივიდა და ფერმერი ქალბატონი ლონდონის საავადმყოფოში შვეულმფრენით გადაიყვანა. ძროხის თავდასხმის შედეგად ქალმა მკერდისა და ქვედა კიდურების სერიოზული ტრავმები მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

მამა-შვილნი, რომლებსაც საქართველოს ნაკრებში უთამაშიათ

2020 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩში ირლანდიისა და საქართველოს ნაკრებებს შორის ჩვენს გუნდში დებიუტი ჰქონდა ვატო არველაძეს.

ვატო წარსულში ქართველი ფეხბურთელის, შემდეგ კი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნის, რეზი არველაძის შვილია. ეროვნული გუნდის ისტორიაში ვატო მეოთხე ფეხბურთელია, რომელმაც მამის გზა აირჩია და ქვეყნის მთავარი საფეხბურთო გუნდის მაისურიც მოირგო.

რევაზ არველაძე საქართველოს ნაკრების წევრი 1992-200 წლებში იყო. სულ ეროვნული გუნდის მაისური 11-ჯერ მოირგო და ერთი გოლი გაიტანა.

ვნახოთ, რა მაჩვენებელი ექნება ვატოს კარიერის დასრულების შემდეგ.

მოდით, გავიხსენოთ მამა-შვილნი, რომლებსაც საქართველოს ნაკრებში უთამაშიათ.

გია და სანდრო გურულები

გია გურული ეროვნული ნაკრების პირველი გოლის ავტორია – 1990 წლის 27 მაისს თბილისში გაუტანა ლიეტუველებს, რომელიც 2:2 დასრულდა.

პირველი ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელი მალევე წავიდა უცხოეთში, მისი კარიერის პიკი კი ნაკრების იზოლაციას დამთხვა. უეფამ საქართველო ოფიციალურ ტურნირებში მხოლოდ 1994 წელს დაუშვა, იმ დროს კი გია გურულს გამოცდილი ვეტერანი უფრო ეთქმოდა, ვიდრე გუნდის ლიდერი. აქედან გამომდინარე, გიამ ნაკრებში მხოლოდ 4 მატჩი ითამაშა და სწორედ ის ერთადერთი გოლი გაიტანა, რომელიც ისტორიაში შევიდა.

2004-05 წლებში გურული ეროვნული ნაკრების ფრანგი თავკაცის ალენ ჟირესის ერთ-ერთი თანაშემწეც გახლდათ.

ნაკრებში მამაზე 2 მატჩით მეტი ითამაშა სანდრო გურულმა – 6-ჯერ მოირგო მთავარი გუნდის მაისური, გოლებით კი, მამას არ „გადაახტა“ და მანაც ერთხელ მოახერხა მეტოქის კარში გატანა.

უმცროსი გურულის დებიუტი ნაკრებში 2010 წლის 17 ნოემბერს შედგა ამხანაგურ მატჩში: ქალაქ კოპერში საქართველომ სლოვენიას 2:1 სძლია. სანდრო 46-ე წუთზე ჩაერთო თამაშში გოჩა ხოჯავას ნაცვლად, 67-ე წუთზე კი ანგარიშიც გაათანაბრა. მას შემდეგ კიდევ 5-ჯერ ითამაშა ნაკრებში, მაგრამ გოლი აღარ გაუტანია.

გურულები პირველი მამა-შვილი არიან, რომლებმაც ეროვნულ ნაკრებში ითამაშეს.

კახი და ბაჩანა ცხადაძეები

კახი ცხადაძეც ეროვნული ნაკრების ლიეტუვასთან ისტორიული მატჩის ძირითად შემადგენლობაში იყო. ის ნაკრების კაპიტანი გახლდათ პირველ ოფიციალურ მატჩშიც: 1994 წლის 7 სექტემბერს, ევრო 96-ის საკვალიფიკაციო ტურნირში მოლდოვასთან სათამაშოდ გაიყვანა გუნდი ეროვნული სტადიონის მინდორზე.

კახი ცხადაძე ნაკრებს 1998 წლის 30 მაისს, თბილისში რუსეთთან 1:1 დასრულებული მატჩით გამოეთხოვა.

სულ ნაკრებში 31 მატჩი გამართა და ერთი გოლის გატანაც მოახერხა.

კახა ცხადაძე ეროვნულ ნაკრებსაც წვრთნიდა.

უმცროსი ცხადაძე ეროვნულ გუნდში თემურ ქეცბაიამ დააწინაურა. 2014 წლის 5 მარტს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ლიხტენშტაინთან 2:0 მოგებულ ამხანაგურ შეხვედრაში ბაჩანამ 59-ე წუთზე შეცვალა გიორგი ჭანტურია.

2015 წელს, ნაკრების სათავეში მამის, კახის მისვლის შემდეგ უმცროსი ცხადაძე ხშირად ხვდებოდა გაფართოებულ შემადგენლობაში, ძირითადად ამხანაგურ მატჩებში ჩნდებოდა შეცვლაზე, ძირითადში კი ერთადერთხელ ითამაშა: 2015 წლის 9 ივნისს ავსტრიის ლინცში უკრაინასთან 1:2 წაგებულ საწვრთნელ მატჩში.

სულ ბაჩანამ ეროვნულ გუნდში 8 მატჩში მიიღო მონაწილეობა...

კახი და ნიკა კაჭარავეები

კახი კაჭარავაც საქართველოს ნაკრების ისტორიული, პირველი თამაშის მონაწილეა და გია გურულის მსგავსად მანაც გაიტანა. კაჭარავამ ლიეტუვასთან 71-ე წუთზე კახი ცხადაძე შეცვალა. ზუსტად 10 წუთში გოლიც გაიტანა, ანგარიში გაათანაბრა – 2:2.

კაჭარავა უფროსმა მას შემდეგ კიდევ ორჯერ მოირგო ქვეყნის მთავარი გუნდის მაისური: 1992 წელს, კვიპროსთან და 1994 წელს, რიგაში ლატვიელებთან. ბალტიისპირელებთან შეხვედრაში თავი კიდევ ერთხელ გამოიჩინა.

კახის ვაჟმა ნიკამ ეროვნულ გუნდში პირველად ვლადიმირ ვაისის სადებიუტო თამაშში, თბილისში ყაზახეთთან 1:1 დასრულებულ შეხვედრაში ითამაშა: 2016 წლის 29 მარტს ეროვნულ სტადიონზე 46-ე წუთზე შეცვალა გიორგი ჭანტურია.

ნიკა ერთადერთია ჩამოთვლილ მამა-შვილებს შორის, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს შანსი, ითამაშოს ნაკრებში. სადღეისოდ ნიკას 17-ჯერ აქვს ნაკრების მაისური მორგებული და 1 გოლის გატანაც მოასწრო (სერბეთთან თბილისში). ნიკა ძირითადად შეცვლაზე თამაშობს და 10-ჯერ ჩაერთო თამაშში სათადარიგოთა სკამიდან.

დიდი 10-ის ბოლო ტურში ბევრი რამ გადაწყდება

ბათუმი-ახმია 30:13

თბილისის არმიამ, რომელმაც ბოლო 5 მატჩიდან 4 მოიგო და ერთში ბონუსი აიღო, ბათუმში მიმდინარე გათამაშების ლიდერს ვერაფერი მოუხერხა და დასკვნითი ტურის წინ გასავარდნ, ბოლო ადგილზე რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმს რეგულარული გათამაშების პირველ ადგილზე დასრულება უკვე განაღდებული ჰქონდა, მეტოქეს მეორე ტაიმში 4 ლელო გაუტანა და ბონუსიც კი არ დაანება.

ანგარიში მასპინძელმა მამუკა ნინიძემ ჯარიმით გახსნა. არმიამ დაჩი პაპუნაშვილის ლელოთი ტაიმის შუაში უპასუხა და შესვენებაზე ლიდერის რანგში გავიდა. მეორე ტაიმის დასაწყისში ჯარიმა უკვე ბახვა კობახიძემ გაიტანა და არმია 8:3 დაწინაურდა, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით. ხვიჩა ბუჯიაშვილმა ლელოთი წონასწორობა აღადგინა, 49-ე წუთზე კი, მასპინძლები ნინიძემ ჯარიმით დააწინაურა.

54-ე წუთზე ბუჯიაშვილმა ლელოების დუბლი შეასრულა და ამჯერად ნინიძემ გარდასახა, მალე კი ლელო სანდრო ქოიავამაც მიითვალა და მასპინძელთა უპირატესობა 15 ქულა გახდა. გიორგი ქუთათელაძემ სტუმრებს ბონუსის აღების შანსი 74-ე წუთზე გატანილი ლელოთი დაუბრუნა, თუმცა ბოლო წერტილი კვლავ ბათუმელმა ნუკრი ფერსელიძემ დასვა, ნინიძემ გარდასახა და თამაში 30:13 დასრულდა.

ხახები-აკადემია 18:12

თბილისის აკადემიასთან 18:12 მოგების შემდეგ რუსთავის ხარებმა მე-2 ადგილი შეინარჩუნეს.

რეგულარული გათამაშების ბოლოსწინა ტურში მასპინძელმა ხარებმა მეტოქეს 3 უპასუხო ლელო გაუტანა და ბონუსიც აიღო. ახლა ის მდევარს 2 ქულით უსწრებს და დასკვნით ტურში, პატარძეულში ვეფხვებთან მოგების შემთხვევაში, ფლეი ოფში პირდაპირ შესარჩევ ფინალში გავა. აკადემიამ ბონუსი აიღო, თუმცა ამით დიდ 10-ში დარჩენა ვერ დაიბევა და დასკვნით ტურში თბილისის ლელოსარასენსთან მოსაგებად მოუწევს ბრძოლა.

არადა, მატჩის დებიუტში აკადემია შერკინებაში უპირატესობას ფლობდა და ბურთსაც აკონტროლებდა, თუმცა მე-13 წუთზე თავად დაჯარიმდნენ და კობა ბუჯიაშვილმა ანგარიში გახსნა, რასაც 3 წუთში ზუსტი ჯარიმით დავით მოძღვრიშვილმა უპასუხა. 26-ე წუთზე სტუმრებმა სინბინით ვანო ბერიკაშვილი დაკარგეს და ხარებმა 10 წუთში 2 ლელო გაიტანა. პირველ ჯერზე შერკინებიდან ბურთი მოკლე ფრთაზე გავიდა და თორნიკე თეგეთაშვილმა ჩათვლის მოედანში შეაღწია, ხოლო მეორე შემთხვევაში, ხანგრძლივი შეტევისას მიმართულება რამდენჯერმე შეიცვალა და მარცხენა ალამთან ლელო ლაშა გოგიაშვილმა მიითვალა. გარდასახვები არაზუსტი იყო, ლელოებს შორის მოძღვრიშვილმა ჯარიმა გაიტანა და ტაიმი 13:6 დასრულდა.

მეორე ტაიმი სტუმართა შეტევებით დაიწყო და უბურთო კაცზე თამაშისთვის ბექა ბებიაშვილი სინბინით დაისაჯა, მოძღვრიშვილმა ჯარიმა ისევ შეაგდო. 71-ე წუთზე მასპინძლებმა მესამე ლელო გაიტანეს: ირაკლი ჩომახაშვილმა რაქიდან შეუტია და მისი შეჩერება მცველებმა ვერ მოახერხეს. გარდასახვა კვლავ არაზუსტი იყო და მოძღვრიშვილმა 76-ე წუთზე მეოთხე ჯარიმა გაიტანა, რითაც საბოლოო შედეგი დაფიქსირა და საკუთარ გუნდს მხოლოდ ბონუსი მოუპოვა – 18:12.

ლოკომოტივი-ჯიქი 32:23

ჩემპიონმა თბილისის ლოკომოტივმა ექსჩემპიონ გორის ჯიქს დაძაბულ ბრძოლაში 32:23 აჯობა და მეორე ადგილის დაკავების შანსი შეინარჩუნა, მეტოქეს კი, ექვსეული სათუო გაუხადა.

დაძაბულ მატჩში სტუმრებმა მასპინძლებს დიდი ბრძოლა გაუმართეს, მაგრამ უმარტივეს სიტუაციებში შეცდომები დაუშვეს და გამოცდილმა მეტოქემაც ამით კარგად ისარგებლა. შეხვედრის მსვლელობისას მრავლად იყო ორთაბრძოლები, ხაზის გაჭრები და თავგანწირული ბოჭვები.

დებიუტი თბილისელების იყო: ბექა წიკლაურმა ანგარიში მე-10 წუთზე ჯარიმით გახსნა, მალევე ჯიქმა საკუთარ ნახევარზე, 10-მეტრიან წყვეტილთან დაკარგა ბურთი, ლოკომოტივმა მარჯვნივ სწრაფად ჩაათამაშა და იოანე ხელაიამ ლელო გაიტანა, რასაც წიკლაურმა ზუსტი გარდასახვა მიაყოლა.

ტაიმის შუაში, 2-წუთიან ინტერვალში, ჯიქმა მეტოქეს 2 ლელოთი უპასუხა და ლიდერობაც მოიპოვა. გორელებმა მასპინძლები რამდენჯერმე დააჯარიმეს და დერეფნიდან მესამე შეტევის შემდეგ, ლელო შუამარბმა დავით ხიდეშელმა გაიტანა, მერე კი მასპინძლებმა 10-მეტრიან წყვეტილთან საკუთარი დერეფანი წააგეს, ბურთი ლაშა საჯაიამ მოიხელთა, მბოჭავი ჩამოიცილა და ლელომდე ირბინა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

1 აპრილი
ფეხბურთი

ინგლისი. ჰემპიერიგა

არსენალი-ნიუკასლი	2:0

საატჩინო ცხრილი:

1.ლივერპული	32	24	7	1	72-19	79
2.სიტი	31	25	2	4	81-21	77
3.არსენალი	31	19	6	6	65-39	63
4.ტოტენჰემი	31	20	1	10	58-34	61
5.მანჩესტერი	31	18	7	6	60-41	61
6.ჩელსი	31	18	6	7	52-34	60
7.ვულვზი	31	12	8	11	38-38	44
8.ლესტერი	32	13	5	14	42-43	44
9.უოტფორდი	31	12	7	12	43-46	43
10.ვესტ ჰემი	32	12	6	14	41-48	42
11.ევერტონი	32	12	7	13	45-42	43
12.ბორნმუთი	32	11	5	16	43-58	38
13.კრ.პალასი	31	10	6	15	38-41	36
14.ნიუკასლი	32	9	8	15	31-42	35
15.ბრაიტონი	30	9	6	15	32-43	33
16.საუთჰემპტონი	31	8	9	14	35-50	33
17.ბარნლი	32	9	6	17	37-59	33
18.კარდიფი	31	8	4	19	28-59	28
19.ფულემი	32	4	5	23	29-72	17
20.ჰადერსფილდი	32	3	5	24	18-59	14

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

სარაგოსა-ხიმნასტიკი	3:0

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

აუე-დინამო	1:3

საფრანგეთი. 1 ლიგა

სტ.ეტიენი-ნიმი	2:1

საატჩინო ცხრილი:

1.პსჟ	29	26	2	1	87-16	80
2.ლილი	30	18	6	6	48-26	60

შედეგები

3.ლიონი	30	16	8	6	51-35	56
4.სტ.ეტიენი	30	14	7	9	43-35	49
5.მარსელი	30	14	6	10	47-40	48
6.რეიმსი	29	11	13	5	31-27	46
7.ნიცა	30	12	8	10	22-29	44
8.მონპელიე	29	10	12	7	40-34	42
9.რენი	29	11	8	10	39-37	41
10.სტრასბური	29	9	12	8	45-35	39
11.ანჟე	30	8	13	9	35-35	37
12.ნიმი	29	10	7	12	41-44	37
13.ბორდო	30	8	11	11	28-31	35
14.ტულუზა	30	7	11	12	28-44	32
15.ნანტი	29	8	7	14	33-38	31
16.მონაკო	30	7	9	14	30-45	30
17.ამიენი	30	8	6	16	24-43	30
18.კაენი	30	4	11	15	24-44	23
19.გენგამი	29	5	7	17	19-51	22
20.დიჟონი	30	5	6	19	21-47	21

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-ლე ავრი	0:0

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ფეირენშე-სეტუბალი	0:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

აპოლონი-პანათინაიკოსი	1:3

დანია. სუპერლიგა

ორხუსი-ვეილე	2:2

შვედეთი. ალსვენსკა

მალმიო-ჰაკენი	1:1
ელფსბორგი-ჰამარბი	1:1
დიურგარდენი-სუნდსვალდი	2:2

ნორვეგია. ელიტსერია

სტაბეკი-ლილესტრიომი	1:1

აიაქსის ლიდერებს გრანდები დაერივნენ

ესპანური მედიის ინფორმაციით, კატალონიურ გრანდში დარწმუნებულნი არიან, რომ ამსტერდამის აიაქსთან მოლაპარაკებას წარმატებით დაასრულებენ და მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ცენტრალურ მცველ მატიას დე ლიხტს ხელში ჩაიგდებენ.

ზაფხულში ბარსას მაისურას დე ლიხტის თანაგუნდელი და მეგობარი, ფრენკი დე იონგი მოირგებს. აიაქსის 21 წლის ნახევარმცველმა კატალონიელებთან კონტრაქტი უკვე გააფორმა.

ესპანელი ჟურნალისტების ცნობით, ბარსელონა დე ლიხტის ტრანსფერის გაფორმებას უახლოეს მომავალში, ჩემპიონთა ლიგაში აიაქსისა და იუვენტუსის მეოთხედფინალური მატჩის დაწყებამდე აპირებს. ამ გუნდების პირველი მატჩი კი 10 აპრილს, ამსტერდამში გაიმართება.

როგორც ირკვევა, ბარსელონა არ აპირებს, გააუმჯობესოს ამსტერდამელებისთვის უკვე გაკეთებული შეთავაზება, რომელიც 19 წლის ჰოლანდიელ მცველში 60 მილიონი ევროს გადახდას ითვალისწინებს. ამის მიზეზი კლუბებს შორის კარგი ურთიერთობაა და თავად ფეხბურთელის სურვილია, რომ კარიერა ბარსაში გააგრძელოს. ამის გამო, აიაქსი იძულებული ხდება, პატივი სცეს დე ლიხტის არჩევანს. არადა, შესაძლოა, სხვა კლუბებმა ბარსელონაზე უკეთესი წინადადებითაც მიმართონ.

დე ლიხტის გადაბირებით ასევე დაინტერესებულნი არიან ტურინის იუვენტუსი, მიუნხენის ბაიერნი და პარი სენ-ჟერმენი.

ბაიერნს კი აიაქსიდან მარტო დე ლიხტის ხელში ჩაგდება არ სურს. ესპანური გამოცემის ცნობით, ბავარიელთა ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ზაფხულისთვის ამსტერდამელთა გარემარბი ჰაკიმ ზიეხია. ბავარიელები ფრანკ რიბერისა და არიენ რობენის ღირსეულ შემცვლელებს ეძებენ და მხოლოდ კინგსლი კომანისა და სერჟ გნაბრის გუნდში ყოფნა არ აკმაყოფილებთ.

აქამდე რეკორდმაისტერის მთავარი სამიზნე ჩელსისა და ინგლისის ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელი კალუმ ჰადსონ-ოდოი იყო, მაგრამ ბაიერნი მის ხელში ჩაგდებას, დიდი აღბათობით, ვერ მოახერხებს, რადგან ჩელსის ტრანსფერების განხორციელება აეკრძალა.

კიდევ ერთი კანდიდატი ნიკოლა პეპე იყო, მაგრამ დიდი ხანია, მის

შესახებ ახალი ინფორმაცია აღარ გავრცელებულა. ლილის პრეზიდენტმა ჟერარ ლოპესმა ცოტა ხნის წინ თქვა, რომ პეპესთან დაკავშირებით მოლაპარაკებები არ გაიმართება.

26 წლის ჰაკიმ ზიეხი აიაქსის ერთ-ერთი ლიდერია და გოლს პლუს პასის რეიტინგში, ჰოლანდიის ჩემპიონატში 27 ქულით მესამე ადგილზეა. მაროკოელს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტთან კონტრაქტი 2021 წლამდე აქვს გაფორმებული.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

რატომ დაიხია უკან სააკაშვილმა გამსახურდიას მკვლელობის გამოძიების დროს

დასაწყისი მე-6 გვერდზე

– რაღაც ხომ უნდა დავუტოვოთ გამოძიებას, რომ თქვას.

– იმ პერიოდში გამოძიებამ გარკვეული პირების დაკითხვა შეძლო?

– ძალიან ბევრი პირია დაკითხული.

– გიორგაძე თუ დაკითხეთ?

– არ მახსოვს, მაგრამ გიორგაძის ინტერვიუ ვნახე. რასაც ამბობს, სწორია.

– საქმეში გადატრიალების ორგანიზატორები თუ ჩანდნენ?

– ცხადია. გამსახურდია თბილისიდან რატომ წავიდა, ეს ხომ უნდა გარკვეულიყო. ჩვენთან არსებობდა გამომძიებელთა ჯგუფი, რომელიც თავიდანვე პუტჩს იძიებდა. გამსახურდიას წასვლა დაკავშირებული იყო პუტჩთან. გამომძიებლებს სხვა გზა არ ჰქონდათ, უნდა გამოეძიებინათ ის სიტუაცია, რის გამოც საქართველოს პრეზიდენტმა საქართველო დატოვა.

კარგად მახსოვს, უზენაესი საბჭოს შენობას შეიარაღებული ბანდა რომ დაესხა. მათ რუსები ეხმარებოდნენ. ერთ-ერთი ბეტეერის შემადგენლობაში (ნივთმტკიცებები შენახულია პროკურატურაში) ბეტეერის მძღოლებად დაფიქსირებული არიან რუსი სამხედროები. ოთხი სამხედრო იყო, გამოძიების მასალებში ოთხივეს სახელი და გვარია დაფიქსირებული.

– წლების განმავლობაში სასამართლო მასალებში ფიგურირებდა, რომ გამსახურდიას წინააღმდეგ საქმე ვახტანგ რაზმაძემ 1992 წლის 4 იანვარს აღძრა.

– ეგ არის ლაბარტყავას განცხადების

საფუძველზე აღძრული საქმე.

– მხოლოდ ფულის დატაცების მიზეზით იყო აღძრული საქმე?

– მხოლოდ მაგ მიზეზით აღიძრა საქმე. საქმის აღძვრის საფუძვლად მითითებულ იქნა საქბინსოცბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ლაბარტყავას წერილობითი შეტყობინება ქალაქ თბილისის ისნის რაიონის განყოფილებიდან 2.167 მანეთის დატაცების ფაქტზე. ეს განცხადება არსად ჩანს.

– საოცრება ის არის, თვითონ ეს რაზმაძე ვინ იყო საერთოდ?

– არაკანონიერი, პუტჩისტების კაცი, ანუ მაშინ რაღაც საშინელება მოხდა, რაც ჯერ კიდევ ბევრს გააზრებული არ აქვს. ყველა უკანონობა აქედან მოდის.

– გამსახურდია რომ გადიოდა თბილისიდან, ბარათაშვილის ხიდზეც ხომ მოუწყვეს ჩასაფრება და სროლები. ამ ეპიზოდის გამოძიება თუ მოასწარით?

– ამ ფაქტის თვითმხილველი ბევრია. გამსახურდიას კოლონას ბარათაშვილის ხიდთან დახვდნენ და ავტობუსში მშვიდობიანი ადამიანები დაცხრილეს. აღაიანშიც იყო მსგავსი ფაქტი, იქაც ჩახოცეს ადამიანები. ეს ცალკე გამოძიების თემაა.

– იმ ავტობუსში უზენაესი საბჭოს წარმომადგენლები იყვნენ?

– დიახ, ჩემი კოლეგები, მეგობრები ისხდნენ და დაიღუპნენ. მე იმ ავტობუსში არ ვიყავი.

– მას შემდეგ 28 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ერთი და იგივე პოლიტიკური სპექტრი ერთ წრეზე ტრიალებს და ფონს ვერ გავიდა.

– ზვიადის სისხლში გასვრილი პოლიტიკური სპექტრის არსებობა საქართველოში უნდა დასრულდეს.

– ზოგიერთს მიაჩნია, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან ერთად სახელმწიფო გადატრიალების ფაქტის გამოძიება ვერ მოხერხდება.

– ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება პუტჩის თემიდან რომ გამოაცალკევო, ეს იქნება ძალიან ხელოვნური, ვინაიდან გამსახურდია მოკლეს არა როგორც ერთი კაცი. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ პრეზიდენტი მოკლეს. ამდენად, პუტჩი და გამსახურდიას მკვლელობა ერთი და იგივე თემაა.

– დღევანდელი საერთაშორისო ვითარება იმის საშუალებას იძლევა, რომ ივანი შვილის ხელისუფლების პირობებში სახელმწიფო გადატრიალებისა და ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ფაქტი გამოიძიონ?

– 2000-იან წლებში სააკაშვილისთვის რთული იქნებოდა, დაპირისპირებოდა ბუშ-ბეიკერის გორბაჩოვთან მალტის გარიგების შედეგებს. იმ პერიოდში მამა ბუშთან დაპირისპირება პრობლემა იქნებოდა შვილი ბუშისა და სხვა ბევრი გარემოებების გამო, მაგრამ ახლა ამერიკის დღევანდელ პრეზიდენტს არანაირად არ აინტერესებს გასული საუკუნის 90-იან წლებში ბუშის მიქარვები.

ბუშმა რომ შეცდომა დაუშვა და ბუშ-გორბაჩოვის გარიგებით განისაზღვრა მხოლოდ ბალტიის ქვეყნების გაყვანა რუსული იმპერიული სივრციდან, ჩვენ კი გაგვწირეს ელცინის შენარჩუნებით, რუსეთის აღზევებითა და პუტინის აღზევებით, ამერიკელებმა შეცდომა დაუშვეს. ეს შეცდომა ახლა უნდა აღიარონ, რადგან მაშინ ჩვენ გაგვწირეს და პუტინისგან ახალი მონსტრი მიიღეს.

დღეს ისეთი საერთაშორისო სიტუაციაა, პუტჩისა და გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება შესაძლებელია. ამერიკისთვის წარსულის გადაწყვეტილებები ღრმა წარსულია. გორბაჩოვის თემაც ღრმა წარსულია. რეალურად, საერთაშორისო ვითარება ამ გამოძიებას ხელს არ შეუშლის. მით უმეტეს, პუტჩისა და გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება პოლიტიკურ სპექტრს ნამდვილად გაწმენდს. ამის გამომძიებელ ხელისუფლებას კი მისცემს ძალიან სერიოზულ პერსპექტივას, რომ მომავალში ახალი გუნდით შეძლოს პოლიტიკური პროცესების წარმართვა ქვეყანაში.

სპორტი

დიდი 10-ის ბოლო ტურში ბევრი რამ გადაწყდება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ირაკლი სვანიძემ პირველი გარდასახვა გაიტანა – 10:12.

ლოკომოტივმა მეტოქე მისსავე ნახევარზე წნეხში მოაქცია და საბოლოოდ ბურთიც აართვა, ფორვარდებმა კარის წინ უტიეს და ყველა ჯერზე მოახერხეს უპირატესობის ხაზის გადაკვეთა, ბოლოს გიორგი აფციაურმა რაქიდან დაუცველ მოკლე ფრთაზე შეუტია, ლელო გაიტანა და წიკლაურმა ზუსტი გარდასახვით მასპინძლებს ტაიმი 5 ქულით მოაგებინა – 17:12.

მეორე ტაიმის დასაწყისში წიკლაურმა და დიტო კიკნაძემ ჯარიმები გაცვალეს. ამ უკანასკნელს ჯიქის დაწინაურების შანსიც ჰქონდა, როდესაც მოლის შემდეგ ნიკოლოზ სუხაშვილმა ლელო გაიტანა და 54-ე წუთზე წონასწორობა აღადგინა, მაგრამ გარდასახვა ძელმა აისხლიტა. განახლდა თუ არა თამაში, ჯიქი ცენტრში შეცდა, ვახტანგ ამირანაშვილმა გადაცემა ჩაჭრა და ლელომდე ირბინა, ხოლო ვახტანგ კავთიძემ გარდასახა – 27:20.

კიკნაძემ ჯარიმით სხვაობა შეამცირა, მაგრამ გორელებმა მალევე მეოთხე ლელო მიიღეს. აფციაურმა საკუთარი 22-ის ხაზთან გრძელი გადაცემით გიორგი ტალახაძე მოძებნა, რომელიც ფრთაზე გაიქცა, მცველი აიყვანა და ლელოში დაჩი კოპაძე შეუშვა. დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა და ლოკომოტივმა 32:23 მოიგო.

აია-ვეფხვები 12:31

პატარძეულის ვეფხვებმა ქუთაისში აიასთან სენსაციური გამარჯვება მოიპოვა და ბონუსიც ჩაიწერა. აქედან გამომდინარე, ვეფხვებს დიდ 10-ში პირდაპირ დაქვეითება აღარ ემუქრება. დებიუტანტები ამჟამად მე-8 ადგილზე არიან და უარეს შემთხვევაში, ჩემპიონატს მე-9 ადგილზე დაასრულებენ.

აიას კი საქმე გაურთულდა და არ არის გამორიცხული, ქვეყნის ერთ-ერთი ტიტულოვანი გუნდი წელს სულაც ექვსეულს მიღმა დარჩეს და ფლეი ოფში ვერ ითამაშოს.

არადა, ანგარიში მასპინძლებმა მე-13 წუთზე გახსნეს, თეიმურაზ კოხოძემ ლელო ალამთან გაიტანა. სტუმრებმა 32-ე წუთზე უპასუხეს, როდესაც წითელ ზოლში ხანგრძლივი დომინირების შემდეგ, ჟორა მღებრიშვილმა ლელო გაიტანა და ნიკა ბეჟუაშვილმა გარდასახა. ზედ შესვენების წინ, ვეფხვებმა მარჯვენა ფრთაზე გაშალა შეტევა და ალამთან ლელო ვანო გაბროშვილმა გაიტანა – 12:5.

მეორე ტაიმის დასაწყისში აიამ მეორე ლელო გაიტანა, სწრაფი შეტევა ძელებსშუა გიორგი ბაბუნაშვილმა დაასრულა და გარდასახვით წონასწორობაც აღადგინა. პატარძეულელებმა ტაიმის შუაში, 3 წუთის ინტერვალით 2 ლელოთი უპასუხეს: ალექსი მუჩიაშვილმა კარის წინ წარმოქმნილი რაქიდან შეუტია და მცველები ჯანში დაჯაბნა, მერე კი ნიკა ბეჟუაშვილმა ცენტრში სუფთად გაჭრა ხაზი და ლელომდე 50 მეტრი ირბინა. მანვე ერთი გარდასახვა გაიტანა. შეხვედრის მიწურულს მასპინძლებმა საკუთარ ლელოში დაკარგეს ბურთი, რომელიც გიორგი მექვაბიშვილმა იოლად დაამიწა, ხოლო ბეჟუაშვილმა გარდასახვით წერტილი დასვა – 31:12.

ლელო-სარასენი 7:26

მარნეულის არმაზმა უშუალო კონკურენტი თბილისის ლელო-სარასენი დიდ დიღომში 26:7 დაამარცხა, კონკურენტი სატურნირო ცხრილში უკან მოიტოვა და ფლეი ოფში გასვლისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. ამ გამარჯვებით მარნეულელები მე-5 ადგილამდე აღზევდნენ, ლელო-სარასენი მეექვსემდე დაქვეითდა.

თამაში სტუმართა შეტევებით დაიწყო და დებიუტშივე რევაზ ჯინჭველაშვილმა ჯარიმა გაიტანა, რომელსაც რამდენიმე წუთში არეკნი გაუცუდდა. მასპინძლებმა 2 სწრაფი შეტევით უპასუხეს და პირველ ჯერზე აკაკი ტაბუცაძეს ფეხით თამაშისას დარტყმა ძლიერი გამოუვიდა, მე-13 წუთზე კი სიჩქარეში ორი მბოჭავი ჩამოიცილა, ირაკლი ყიასაშვილს ოფლოუდი არ დაუგვიანა და მისი ლელო მერაბ კვირიკაშვილმა გარდასახა.

არმაზი სათამაშო უპირატესობას ფლობდა და 24-ე წუთზე ხელდახელ შეტევის შემდეგ ლამაზი ლელოთი უპასუხა: გიორგი კვესელაძის კარგი თამაშის შემდეგ, ფრთაზე გივი ცინცაძე გაიქცა და სანამ აუტში გადაიყვანდნენ ბურთი ნიკა გიგაურს შემოუგდო, რომლის ლელო ჯინჭველაშვილმა გარდასახა. შესვენებამდე კვირიკაშვილს გასატანი პოზიციიდან ჯარიმა გაუცუდდა, მერე ლელო-სარასენსმა ხანგრძლივი შეტევა ლელოთი ვერ დაასრულა, სულ ბოლოს კი ჯინჭველაშვილმა ჯარიმა გაიტანა და სტუმრები 13:7 დააწინაურა.

მეორე ტაიმი პირველის მსგავსად დაიწყო: ჯინჭველაშვილმა ჯერ ჯარიმა გაიტანა, მერე კარის წინ 22 მეტრიდან არეკნი შეასრულა, ამჯერად ზუსტად – 19:7. 73-ე წუთზე მასპინძლები მოედნის ცენტრში შეცდნენ, დაკარგული ბურთი კვესელაძემ აიტაცა, ლელომდე 50 მეტრი ირბინა და საკუთარ გუნდს გამარჯვება დაუბევა, ჯინჭველაშვილმა კი გარდასახვით საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 26:7.

ასტროპროგნოზი

3 აპრილისთვის

ვერძი – ცდუნების ალბათობა იზრდება. თავი შეიკავეთ საქმის გარჩევებისაგან. კრიტიკული დღეა. **კურო** – თქვენი ენერგიულობა გადამდებია. ასე განაგრძეთ, ოღონდ ეცადეთ, ზედმეტად არ დაიტვირთოთ. **ტყუპები** – მიენდეთ ინტუიციას. პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეთ. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **კირჩხიბი** – იღბლიანი დღეა. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც შეგიძლიათ. საღამოს დაისვენეთ და პირად ცხოვრებას მიხედეთ. **ლომი** – ფინანსური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. მთავარია მოთმინება. **ქალწული** – გარშემომყოფებს სიყვარულით მოეპყარით. საპასუხოდ სიყვარულსა და თანადგომას მიიღებთ. **სასწორი** – კომერციული საქმიანობისგან თავი შეიკავეთ. დღეს არ ღირს ახალი საქმის დაწყება. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა. დაკავდით სპორტით, მიიღეთ ახალი ინფორმაცია, გაიფართოვეთ თვალსაწიერი. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. ახალგაცნობილი ადამიანები საკმაოდ საინტერესო იდეებს გთავაზობენ. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. საკუთარი პოზიციების დაცვა აუცილებელია. ნუ მოეშვებით. **მერწყული** – ფინანსური კრიზისი არ გემუქრებათ. თქვენი შემოსავალი მნიშვნელოვნად იზრდება. გელით სხვა სასიამოვნო სიახლეებიც. **თევზები** – თუ ახალი საქმის დაწყება გადაწყვიტეთ, არ გარისკოთ. უმჯობესია, ძველი საქმეები დაამთავროთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ზომიერი კლიმატური სარტყლის სახელწოდება ჩრდილო ამერიკაში; 2. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 3. ფრანგი მწერალი, დრამატურგი, თეატრალური მოღვაწე, კინორეჟისორი; 5. საცხენოსნო შეჯიბრება; 6. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. დღის ყველაზე ცხელი მონაკვეთის სახელწოდება ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 11. მეექვსე საუკუნის ეკლესია თბილისში; 13. ანგლიკანური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი; 14. გემის გამაწონასწორებელი ტვირთი; 15. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია; 19. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა.

თარაზულად: 1. ფერწერული ტილოების საცავი მუზეუმში; 4. საზღვაო ლაინერის ზედა გემბანი, სადაც სამაშველო ნავებია განლაგებული; 7. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყო; 9. საყოველთაოდ ცნობილი, გაცვეთილი ჭეშმარიტება; 10. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 12. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 16. რაიონული ცენტრი კახეთში; 17. სამეფო რეზიდენცია საფრანგეთში; 18. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 20. განსაკუთრებული ნიჭი; 21. ცხვრის ხორცისგან მომზადებული აზერბაიჯანული წვნიანი კერძი; 22. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. გეთი; 2. ზესხო; 3. ილორი; 4. შევრო; 5. რუჰანი; 6. ზედაზენი; 8. აბასთუმანი; 10. ვინჩესტერი; 11. სამშვილდე; 14. აფექტი; 15. იკრიკა; 16. ციცქა.

თარაზულად: 1. გეიზერი; 4. შარტრეზი; 7. თრუსო; 9. კიევო; 12. ჭილაძე; 13. ქანდა; 14. არაგვი; 17. ემისია; 18. სკეპტიციზმი; 19. ვიმპელი; 20. რაპირა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ანდები; 2. სურამი; 3. რაუტი; 5. ზარა; 6. კულუხი; 8. სტურუა; 11. სენკევიჩი; 13. არომატი; 14. კაბერნე; 15. სისტემა; 19. ნიცა.

თარაზულად: 1. ალადასტური; 4. ბალზაკი; 7. დიადორა; 9. ტერტერა; 10. ოსუმი; 12. ბოროდინი; 16. ხანჯლური; 17. ბოჰემია; 18. პერგამონი; 20. ჩამპინო; 21. აისი; 22. ჟორდანია.

ქალმა დაიძინა და ქალიშვილი გაამდიდრა



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის პატარა ქალაქ მაგნოლიას მკვიდრმა ლატარიაში ჯეკპოტი ჩაძინებული დედის წყალობით მოხსნა.

29 მარტს ლორელ ლიკი, ოჯახური ტრადიციის თანახმად, ხანშიშესულ დედასთან ერთად ბანქოს თამაშს აპირებდა, რასაც ყოველ პარასკევ დღეს აკეთებდა. თუმცა მოხუცებულს ჩაეძინა და ლორელი მაღაზიაში წავიდა, სადაც ლატარიის ბილეთი შეიძინა.

როგორც კი ლიკმა შეიტყო, რომ თანხა ჰქონდა მოგებული, მაშინვე ლატარიის ოფისში მივიდა, მოგების მისაღებად. ის დაახლოებით 30 დოლარის მიღებას ფიქრობდა. თუმცა გაირკვა, რომ მოგებამ ერთი მილიონი დოლარი შეადგინა. როდესაც ლატარიის ოფისის თანამშრომელმა ამის შესახებ აცნობა ლიკს, მან ემოციები ვერ მოთოკა და მას ჩაეხუტა.

ამის შემდეგ ის სახლში დაბრუნდა და დედა გააღვიძა.

– ძალიან მიხარია, რომ დედას დაეძინა. ეს რომ არ მომხდარიყო, პრიზსაც ვერ მოვიგებდი, – განაცხადა ლიკმა.

ლატარიის გამარჯვებული მოგებული თანხის ნაწილით სახლის ყიდვას აპირებს, ხოლო დარჩენილ თანხას ოჯახის წევრებს გაუნაწილებს და კოლეგებს აქეიფებს.

ალკოჰოლის სმაში შეჯიბრება ერთ-ერთი მონაწილის დაღუპვით დასრულდა

განას ქალაქ სექონდი-ტაკორადიში ალკოჰოლის სმაში შეჯიბრება მისი ერთ-ერთი მონაწილის დაღუპვით დასრულდა.

25 წლის ქვის ოსტატი ჰამზა ობენგი და მისი მეგობარი ბარში დილის ცხრა საათისთვის მივიდნენ და ერთი ბოთლი აკპეტიში (ჯინის მსგავსი ადგილობრივი სასმელი) შეუკვეთეს. ბარმენი ამტკიცებდა, რომ მათ ნიძლავი დადეს, თუ რომელი უფრო მეტს დალევდა და მანამდე აპირებდნენ გაგრძელებას, სანამ ერთ-ერთი არ დაეცემოდა.



დანიძლავებულებმა პირველი ბოთლი სწრაფად დაცალეს და მეორე იყიდეს. მოულოდნელად ობენგს ოფლმა დაასხა და გონება დაკარგა. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ექიმებმა მისი სიკვდილი დააფიქსირეს. მისი მეგობრის რეანიმირება, რომელმაც ასევე დაკარგა გრძნობა, ექიმებმა დროულად შეძლეს.

აკპეტიში სპირტიანი სასმელია, რომელიც განაშია გავრცელებული. მას ფერმენტირებული პალმის ღვინის ან შაქრის ლერწმის წვენისგან ამზადებენ. როგორც წესი, ამ სასმელის სიმაგრე 40-დან 50 გრადუსამდეა.

დიდ ბრიტანეთში დაიჭირეს თევზი, რომელიც იხვებს ჭამდა

ინგლისის ესექსის საგრაფოს დასახლება ტაროკის ბოროს რაიონში წყალსატევიდან ამოიყვანეს 11 კილოგრამიანი ლოქო, რომელიც თითქოსდა იხვებს ჭამდა.

ადგილობრივმა ბავშვებმა ანონიმურად შეიტანეს საჩივარი სისხლისმსმელ თევზზე.

– დიდი თევზები შესაძლოა მართლაც თავს დაესხნენ წყლის ფრინველებს, ამიტომ ჩვენ სიხარულით ვიშორებთ მათ თავიდან, – განაცხადა ოფიცერმა ბენ ნორინგტონმა, – აგრესიული თევზები საფრთხეს წარმოადგენენ ბუნებისთვის.

ბუნების დაცვის სააგენტოს წარმომადგენლებმა ლოქო მდინარეში დაიჭირეს და ის მთლიანად იზოლირებულ ტბაში მოათავსეს.

შეგახსენებთ, რომ ლოქო შეაძლოა სიგრძეში ხუთ მეტრამდე გაიზარდოს, ხოლო წონაში 400 კილოგრამამდე მიაღწიოს. ისინი ძირითადად წვრილი კიბორჩხალებით, მწერებით და თევზებით იკვებებიან, თუმცა წყლის ფრინველებსა და შინაურ ცხოველებზე თავდასხმის შემთხვევებსაც ჰქონია ადგილი.

ღორი მძღოლს მანქანის მართვაში ხელს უშლიდა

ამერიკის მინესოტას შტატში შერიფის თანაშემწემ გზაზე ზიგზაგებით მოსიარულე ავტომობილი გააჩერა და აღმოჩნდა, რომ მანქანის სალონში მძღოლის გარდა ორი ცხოველი იმყოფებოდა.

ერთი ღორი, რომელიც 110 კილოგრამზე მეტს იწონიდა, მძღოლის მუხლებზე იყო გაწოლილი, ხოლო გოჭი მის გვერდით იყო განთავსებული. მამაკაცს მანქანის სწორად მართვა ძალიან უჭირდა, ვინაიდან მის მუხლებზე გართხმული ღორი მანქანის საჭეზე იყო მიყრდნობილი.

მამაკაცმა შერიფის თანაშემწეს განუმარტა, რომ შტატის სხვა მხარეში გადადიოდა და ცხოველებიც თან მიჰყავდა. მისი თქმით, მან ცხოველებს ამის უფლება იმიტომ მისცა, რომ ეშინოდა, არ გაყინულიყვნენ. შერიფის თანაშემწემ მას გაფრთხილება მისცა და გაუშვა.

შერიფის ოფისში აღნიშნეს, რომ შეხვედრიან დაბნეულ მძღოლებს, რომლებიც მანქანის მართვისას ტელეფონზე საუბრით, მაკიაჟის კეთებით ან ჭამით იყვნენ დაკავებულები, მაგრამ პირველად ნახეს, რომ მძღოლს მანქანის მართვისას მუხლებზე ღორი ეწვინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თავისუფალი თეატრი 18 წლისაა

რეჟისორ ავთანდილ ვარსიმაშვილის მიერ დაარსებული თავისუფალი თეატრი 18 წლისაა. ეს თარიღი თეატრის მესვეურებმა განსაკუთრებულად აღნიშნეს და თეატრს „სრულწლოვანის ასაკი“ მიულოცეს.

ავთანდილ ვარსიმაშვილი:

– თუ ადამიანისათვის ეს სრულწლოვანების ასაკია, თეატრისათვის, რომელსაც ამ 18 წლის განმავლობაში წამითაც არ მოჰკლებია მაყურებლის სიყვარული, ძალიან ბევრია. „ეს იქნება თეატრი, რომელიც მხოლოდ სიმართლესა და დღესასწაულს შესთავაზებს თავის მაყურებელს“, – ვთქვი 18 წლის წინ და მთელი ეს 18 წელია, ვასრულებთ ამ სიტყვას. ღრმად მჯერა, რომ კიდევ მრავალი წელი ვიქნებით ამ დანაპირების ერთგულნი და ყველა ჩვენს შემდგომ სპექტაკლშიც ვიტყვით სიმართლეს და შევქმნით დღესასწაულებს, რასაც ასე ელის ჩვენგან მაყურებელი.

ალბათ ამ სიმართლის გამო ვერ მივაღწიეთ ამ 18 წლის განმავლობაში ვერც ერთი მთავრობისაგან დაფინანსებას, მაგრამ მივაღწიეთ ყველაზე მთავარს: მაყურებლის დიდ სიყვარულსა და გადაჭედილ დარბაზებს! ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ, რომ „თავისუფალი თეატრი“ საუკეთესო თეატრალური დასია საქართველოში, ისინიც, ვინც დღეს დგანან სცენაზე და ისინიც, ვინც თამაშობდნენ და დღეს აღარ არიან ჩვენთან, დაამშვენებდნენ მსოფლიოს ნებისმიერ სცენას!

ვულოცავ „თავისუფალის“ დაბადების დღეს მათ, ვინც შექმნა ამ თეატრის 18- წლიანი ისტორია, ვულოცავ ჩვენს მაყურებელს, რომლის მხარდაჭერის გარეშე ვერ მოვაღწევდით დღევანდელ დაბადების დღემდე.

ლაშა სესიტაშვილი რეზო ლაღიძის ნაწარმოებს ლა სკალაში იმღერებს

ოპერის მომღერალი ლაშა სესიტაშვილი 3 აპრილს ლა სკალას თეატრში ქართველი კომპოზიტორის რეზო ლაღიძის ნაწარმოებს იმღერებს:

– 3 აპრილს ლა სკალას თეატრში, არტურო ტოსკანინის დარბაზში გაიმართება რომანსებისა და ნეაპოლიტანური სიმღერების კონცერტი. ეს დღე ორმაგად სასიხარულოა, რადგან შევასრულებ ასევე ქართულ ნაწარმოებს, რევაზ ლაღიძის „ჩივილს“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მამაკაცი დაავადების გამო მთელი ცხოვრება მზის სინათლეს გაურბის

უიშვიათესი მემკვიდრეობით გადაცემული დაავადების გამო, მზის სინათლე სასიკვდილო საფრთხედ იქცა ბრიტანეთის ქალაქ კენსინგტონ-აპონჰალის მკვიდრისთვის.

ჯოშუა ბარნფატერს 18 თვისას აღმოუჩინეს პიგმენტური ქსეროდერმა – მუტაცია, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის ორგანიზმის მგრძნობელობას ულტრაიისფერი გამოსხივების მიმართ. ის თიშავს მექანიზმს, რომელმაც ულტრაიისფერი გამოსხივების მიერ დაზიანებული დნმ-ს მოლეკულები უნდა აღადგინოს. ამის შედეგად დაზიანებები გროვდება და დროთა განმავლობაში კიბოდ გარდაიქმნება. აღსანიშნავია, რომ დიდ ბრიტანეთში ასეთი დაავდება დაახლოებით ას ადამიანს აქვს.

ბარნფატერს ბავშვობიდან უხდებოდა მზის სინათლისგან თვის შორს დაჭერა. ის ცდილობდა, არ გამოჩენილიყო ქუჩაში, ყოველთვის მთლიანად იფარავდა კანს, სახეზე კი ნიღაბს ატარებდა. ამ ყოველივეს მიუხედავად, მას 30 წლის ასაკისთვის რამდენჯერმე დაუდგინეს კანის კიბოს მსუბუქი ფორმა.

2017 წელს კი ბარნფატერს დაუდგინეს ანგიოსარკომა – სახიფათო ავთვისებიანი სიმსივნე, რომელიც სისხლძარღვების შიდა კედლებს აზიანებს. მას ვერ უშველა ვერც ოპერაციამ, ვერც ქიმიო და რადიოთერაპიამ, ვერც ახალმა წამლებმა, რომლებსაც ჯერ კლინიკური შემოწმებაც კი არ გაუვლიათ. მის უკანასკნელ იმედს წარმოადგენს მეტად ძვირადღირებული წამალი იმუნოთერაპიისთვის. მისი ერთწლიანი მკურნალობის კურსი ასი ათასი ფუნტი სტერლინგი დაჯდება.

სწრაფი მატარებლის ბორბლებქვეშ ჩამხტარი მამაკაცი უკვალოდ გაქრა

იაპონიაში მამაკაცი სწრაფი მატარებლის, რომელიც ტოკიოდან ქალაქ კოგანეის სადგურისკენ მიემართებოდა, ბორბლებქვეშ ჩახტა და უკვალოდ გაქრა.

ინციდენტი 25 მარტს ადგილობრივი დროით დაახლოებით 20:20 საათზე მოხდა. მატარებელი ნომერი 33 მაქსიმალური სიჩქარით მოძრაობდა, როდესაც მემანქანემ შენიშნა რკინიგზის ბაქნიდან ლიანდაგებზე ჩამხტარი მამაკაცი. მან დაუყოვნებლივ მოქაჩა მუხრუჭები და მატარებლის ექსტრემალურად გაჩერება განახორციელა.

სადგურის თანამშრომლები „სერიოზულად დაშავებული ან დაღუპული“ ადამიანის დასახმარებლად გაეშურნენ, თუმცა ადგილზე ვერც სისხლის კვალს და ვერც რაიმე ნივთს ვერ მიაგნეს. სამძებრო სამუშაოებმა მატარებლის ერთი საათით შეფერხება გამოიწვია. მემანქანე ირწმუნებოდა, რომ ვიღაც შეშლილ ნამდვილად ჩახტა ლიანდაგებზე, თუმცა ამის დამადასტურებელი რაიმე ვიდეოჩანაწერიც კი არ ყოფილა წარმოდგენილი.

სოციალურ ქსელებში მომხდარის თაობაზე მსჯელობები გაიმართა და ვარაუდებიც გამოითქვა, ბევრი მათგანი ხუმრობანარევი.

– შესაძლოა, ეს საიდუმლო სამხედრო სწავლება იყო, – იხუმრა ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

– ნეტავ რას მალავენ, თუ ვიდეოჩანაწერის წარმოდგენაც კი არ შეუძლიათ, – დაწერა კომენტარში მეორემ.

– შესაძლოა, ეს მოჩვენება იყო იმ ადამიანის, რომელიც ოდესღაც იქ მართლაც ჩახტა, – ივარაუდა მესამემ.

შემთხვევითმა თვითმხილველებმა მოხუცი თვითმკვლელობას გადაარჩინეს

ნიუ იორკში გამვლელმა მძღოლებმა ხანდაზმული მამაკაცი თვითმკვლელობის მცდელობისგან გადაარჩინეს.

ინციდენტი კვირას, ადგილობრივი დროით დაახლოებით 14:30 საათზე ვერაცანო-ნაროუსის ხიდზე მოხდა. მძღოლებმა 79 წლის მამაკაცი შენიშნეს, რომელიც ხიდის კიდესთან ძალიან ახლოს იმყოფებოდა, და პოლიცია გამოიძახეს.

შემთხვევით იქვე ახლოს მყოფმა სამართალდამცავებმა და კიდევ ერთმა თვითმხილველმა მოასწრეს მამაკაცის დაჭერა, რომელიც უკვე მოაჯირზე იყო გადაყუდებული. ვიდეორგოლში ჩანს, თუ ერთ-ერთი მათგანი როგორ იქნევს ხელს და დახმარებას ითხოვს.

მასთან კიდევ ერთმა მამაკაცმა მიირბინა და მოხუცის შეკავებაში დაეხმარა. მალე კი ადგილზე მივიდნენ პოლიციელები. საბოლოოდ შვიდმა ადამიანმა ჩაავლო ხელი მოხუცს და უსაფრთხო ადგილზე გადმოიყვანეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოხუცებული მამაკაცი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

3 აპრილისთვის

აშშ დოლარი — 2.6927

ევრო — 3.0252

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5261

100 რუსული რუბლი — 4.1088

ამინდის პროგნოზი 3 აპრილისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

26 მარტიდან

იროდიონ ევდოშვილი

რჩეული მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

22 მარტიდან

იაკობ გოგებაშვილი

შემეცნებითი მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

29 მარტიდან

ოტია იოსელიანი

ქალი გამოვიდა სალალატოდ

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ბებიას დიდხანს ვუხსნიდი, რომ პროგრამისტად ვმუშაობ.

– მერე, აუხსენი?

– საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ტელევიზორებს ვაკეთებ და თაგვებს ვამრავლებ...

•••

ჩინეთში ჩასული ქართველი ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს ეცნობა და შემდეგ გიდს ეკითხება:

– რამდენია თქვენი მოსახლეობა?

– ორი მილიარდი...

– და კიდევ რითი ხართ დაკავებული?..

•••

– ლოთო!

– მეძავო!

– მასხარავ!

– პატივცემულო მაყურებლებო, ამით ვასრულებთ წინასაარჩევნო დებატებს დეპუტატობის კანდიდატებს შორის.

•••

ექიმი ავადმყოფს ტელეფონზე ურეკავს და ეუბნება:

– თქვენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს სათქმელი: ცუდი და ძალიან ცუდი!

– ცუდით დაიწყეთ.

– თქვენმა ანალიზებმა აჩვენა, რომ თქვენ სამი დღის სიცოცხლე დაგრჩათ!

– და ამაზე ცუდი რაღაა?

– ორი დღე ვერაფრით გიკავშირდებოდით!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რომელია შენი სუსტი ადგილი?

– ქუსლები.

– რა, აქილევსი ხარ?!

•••

ცოლი სარკის წინ ტრიალებს და ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, რომელიც კაბა ჩავიცვა? ეს თუ ეს?

ქმარი, ისე, რომ ტელევიზორისთვის თვალი არ მოუშორებია, პასუხობს:

– თითქოს ორივეს არა უშავს...

– მე მინდა, რომ გამოვიყურებოდე არა როგორც არა უშავს, არამედ შთამბეჭდავად!

– მაშინ ორივე ერთად ჩაიცვი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გიორგი ჩაკვეტაძეს ტრავმა არ მოუშუშებია

ბელგიური გენტისა და საქართველოს ნაკრების შემტევმა გიორგი ჩაკვეტაძემ ჯერჯერობით ტრავმის მოშუშება ვერ შეძლო.

გიორგის უკვე ორი თვეა, ტრავმა აწუხებს და მან საკმაოდ ბევრი შეხვედრა გამოტოვა, მათ შორის საქართველოს ნაკრების ორი მატჩი, სადაც ქართველები ორივეჯერ დამარცხდნენ. ჯერჯერობით უცნობია, როდის დაუბრუნდება მოედანს გიორგი ჩაკვეტაძე, თუმცა ვარაუდობენ, რომ ეს აპრილის შუა რიცხვებში უნდა მოხდეს.

კოუტინიოს შეძენა რამდენიმე კლუბს სურს

ბარსელონის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ფილიპე კოუტინიომ შესაძლოა სეზონის ბოლოს ბარსელონა დატოვოს, რადგან ის ჯერჯერობით ვერ აჩვენებს იმ დონეს, რისთვისაც გადმოიყვანეს კატალონიურ გუნდში.

კოუტინიოს შეძენა ევროპული ფეხბურთის რამდენიმე გრანდს სურს, მათ შორის ყველაზე რეალური კანდიდატები პსჟ და მანჩესტერ იუნაიტედი არიან.

იუნაიტედს ჯერ კიდევ მაშინ უნდოდა კოუტინიოს შეძენა, როდესაც ის ლივერპულში თამაშობდა. რაც შეეხება პსჟ-ს, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნეიმარს დიდი სურვილი აქვს, კოუტინიოსთან ერთად ითამაშოს.

გარეტ ბეილი ზაფხულში რეალს დატოვებს

მადრიდის რეალი ზაფხულში სერიოზულ ცვლილებებს გეგმავს. ზიდანი რამდენიმე ფეხბურთელის ყიდვას აპირებს და რამდენიმე მოთამაშე ასევე დატოვებს მადრიდულ გუნდს. ესენი, სავარაუდოდ, რაფაელ ვარანი და გარეტ ბეილი იქნებიან.

ვარანმა თვითონ სთხოვა რეალს გაშვება, ხოლო რაც შეეხება ბეილს, ყველასთვის ცნობილია, რომ მას ზიდანთან დაძაბული ურთიერთობა აქვს.

ბეილი, სავარაუდოდ, ინგლისში დაბრუნდება, სადაც მას რამდენიმე კლუბი ეპატიჟება.

ჯეიმი კარაგერი: „ლივერპულმა ჩემპიონობა დაიმსახურა“

ლივერპულის ყოფილმა ფეხბურთელმა ჯეიმი კარაგერმა, რომელიც ამჟამად ტელევიზიაში საფეხბურთო ექსპერტად მუშაობს, განაცხადა, რომ ლივერპული წელს იმსახურებს პრემიერ ლიგის მოგებას.

კარაგერის აზრით, ეს რეალურია, თუმცა მანჩესტერ სიტი არაფერს დათმობს:

– ლივერპულმა წელს რამდენიმე დრამატული შეხვედრა მოიგო ბოლო წუთზე და ვფიქრობ, იმსახურებს ჩემპიონობას, თუმცა მანჩესტერ სიტი ძლიერი კონკურენტია და არაფერს დათმობს. დარჩენილი ყველა შეხვედრა ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

კრიშტიანუ რონალდუმ ზიდანი შეაქო

ტურინის იუვენტუსის სუპერვარსკვლავმა კრიშტიანუ რონალდუმ ერთ-ერთ ინტერვიუში ზიდანზე ილაპარაკა და თქვა, რომ ის ერთ-ერთი საუკეთესოა თავის საქმეში.

რონალდუს აზრით, ზიდანმა ზუსტად იცის, როგორ გამოიყენოს ფეხბურთელები შედეგის მისაღწევად.

– ზიდანთან ერთად მუშაობა ყველასთვის კომფორტულია. ის ყველა ფეხბურთელს აძლევს შანსს და ამიტომ უკმაყოფილო არავინ რჩება. ზიდანს შეუძლია, ფეხბურთელისგან მაქსიმუმი მიიღოს, – განაცხადა რონალდუმ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ბადეში მოხვედრილი ვეშაპის ნაშიერი გადაარჩინეს

მოხალისეებმა ცხრამეტრიანი ვეშაპი გადაარჩინეს, რომელმაც მეთევზეთა ბადეში ექვსი კვირა გაატარა. სამაშველო ოპერაციის ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ბრიტანულმა ტაბლოიდმა გამოაქვეყნა.

სამხრეთული პრიალაკანიანი ვეშაპი 30 მარტს აღმოაჩინეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სანაპირო წყლებში. მანამდე ცხოველი არაერთხელ შენიშნეს კეიპტაუნის მახლობლად, თუმცა მაშველთა ბრიგადამ ადგილზე მისვლა დროულად ვერ შეძლო.

– როდესაც სამაშველო ჯგუფმა ვეშაპს მიაგნო, ნათელი გახდა, თუ რატომ ვერ ხერხდებოდა ადრე მისი დაჭერა. მისი სხეული მძიმე სათევზაო ბადეში იყო გახლართული, – განაცხადა ერთ-ერთმა მაშველმა მაიკ მეიერმა.

ადგილზე მოხალისეთა ორი ჯგუფიც მივიდა და სათევზაო ბადეები დაანაკუწეს, რომელიც ზღვის ცხოველს ბოჭავდა. სამაშველო ოპერაცია 20 წუთს გრძელდებოდა. მთელი ამ ხნის მანძილზე მის გარშემო მისი ორი თანამოძმე დაცურავდა.

– ვეშაპი ძალიან იყო გატანჯული, მაგრამ მის გვერდით მისი ორი თანამოძმე იმყოფებოდა, მეტად ემოციური მომენტი იყო, – განმარტა მეიერმა. საბოლოოდ სამივემ ღია ზღვას მიაშურა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 2. სიყვარულის, სილამაზის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 3. ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს ბრძმედში დნობის დასაჩქარებლად; 5. შოტლანდიური ნაგაზი; 6. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 8. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ოსური ხაჭაპური; 13. მარნეულის ძველი სახელწოდება; 14. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უმაღლეს სასწავლებელში; 15. ყვავილების კონა; 19. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 4. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 7. მდინარე ერევანში; 9. თავად-აზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 10. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში; 12. სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა, თანამედროვე ორჭიდი; 16. ფქვილით, ხახვით, ძმრითა და კვერცხით შეზავებული ქათმის წვნიანი კერძი; 17. მოყვითალო ფერის ფუტკრის მსგავსი მწერი; 18. კუთხე საქართველოში; 20. ძველი ქართული დამწერლობა; 21. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა